აბასთუმნის

ასტროფიზიკური ობსერვატორია

LX1

ასტრონომიული კალენდარი

(წელიწდეული)

2021

ინტელექტი
თბილისი – 2020

ასტრონომიული კალენდარი გამოიცემა 1961 წლიდან.

1961-2008 წლებში მას ერთობლივად გამოსცემდა ე. ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2009-2020 წლების ასტრონომიული კალენდრები გამოსცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

შემდგენელი:

ე.ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია

სარედაქციო კოლეგია:

შ. საბაშვილი (პ/მგ. რედაქტორი)

გ. რამიშვილი ა. როგავა
ნ. საბაშვილი ე. ჯანიაშვილი

ISSN 0134-9856

ISBN 978-9941-31-264-9

წინასიტყვაობა
სამოცდამეერთე გამოცემისათვის

ასტრონომიული კალენდარი (წელიწდეული) მოიცავს ყველა უმთავრეს ცნობას, რომელიც, ჩვეულებრივ, ამგვარ ცნობარებში მოიპოვება. ესენია: მზის, მთვარისა და პლანეტების ამოსვლა-ჩასვლის წინასწარ გამოთვლილი მომენტები მთელი წლისათვის, მათი მდებარეობა ცაზე, მთვარის ფაზები, მზისა და მთვარის დაბნელებანი, კომეტების და მეტეორული ნაკადების გამოჩენა, დროის სააღრიცხვო და გარემოში ორიენტირებისათვის საჭირო მონაცემები და სხვადასხვა ციური მოვლენების დაკვირვებასთან დაკავშირებული ცნობები. კალენდრის შესავალ ნაწილში – ,,როგორ ვისარგებლოთ კალენდრით" – მკითხველი ყველა აუცილებელ განმარტებას იპოვის.

გამოთვლების ძირითადი ნაწილი შესრულებულია აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლების გ. რამიშვილის, ნ. საბაშვილის და ე. ჯანიაშვილის მიერ. კალენდარს თან ერთვის რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული წერილიც.

ტექსტის კომპიუტერზე აწყობა განახორციელა ვ. საბაშვილმა.ხელ-ნაწერი მოამზადა და საბოლოო კორექტურა შეასრულა ნ. საბა-შვილმა.

შ. საბაშვილი

2021
წლის დროების დასაწყისი
(თბილისის საშუალო დროით)

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი	20 მარტი	$12^{ს}$ 38 ^{წ}
ზ ა ფ ხ უ ლ ი	- 21 ივნისი	$6^{ს}$ 31 ^{წ}
შ ე მ ო დ გ ო მ ა	22 სექტემბერი	$22^{ს}$ $20^{წ}$
ზ ა მ თ ა რ ი	- 21 დეკემბერი	$18^{ს}$ $56^{წ}$

დეკრეტულ დროზე გადასასვლელად თბილისის საშუალო დროს უნდა დაემატოს 1 საათი და 1 წუთი.

საქართველოს ტერიტორია ვრცელდება

აღმოსავლეთის გრძედით 40^{o}.0-დან 46^{o}.7-მდე,

ჩრდილოეთის განედით 41^{o}.1-დან 43^{o}.6-მდე.

ზოგიერთი ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები

ქალაქი	გრძედი	განედი	ქალაქი	გრძედი	განედი
	°	°		°	°
აბასთუმანი	42.8	41.8	ლაგოდეხი	46.3	41.8
ახალქალაქი	43.5	41.4	მესტია	42.7	43.1
ახალციხე	43.0	41.6	ოზურგეთი	42.0	41.9
ბათუმი	41.6	41.6	სამტრედია	42.3	42.2
ბოლნისი	44.5	41.4	საჩხერე	43.4	42.4
ბორჯომი	43.4	41.8	სოხუმი	41.0	43.0
გორი	44.1	42.0	ფოთი	41.7	42.1
დუშეთი	44.7	42.1	ქუთაისი	42.7	42.3
ზუგდიდი	41.9	42.5	ყაზბეგი	44.6	42.6
თბილისი	44.8	41.7	ცხინვალი	44.0	42.2
თელავი	45.5	41.9	ხაშური	43.6	42.0

ტაბელ-კალენდარი

2021

იანვარი

ორშაბათი		4	11	18	25
სამშაბათი		5	12	19	26
ოთხშაბათი		6	13	20	27
ხუთშაბათი		7	14	21	28
პარასკევი	1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	31

თებერვალი

ორშაბათი	1	8	15	22
სამშაბათი	2	9	16	23
ოთხშაბათი	3	10	17	24
ხუთშაბათი	4	11	18	25
პარასკევი	5	12	19	26
შაბათი	6	13	20	27
კვირა	7	14	21	28

მარტი

ორშაბათი	1	8	15	22	29
სამშაბათი	2	9	16	23	30
ოთხშაბათი	3	10	17	24	31
ხუთშაბათი	4	11	18	25	
პარასკევი	5	12	19	26	
შაბათი	6	13	20	27	
კვირა	7	14	21	28	

აპრილი

ორშაბათი		5	12	19	26
სამშაბათი		6	13	20	27
ოთხშაბათი		7	14	21	28
ხუთშაბათი	1	8	15	22	29
პარასკევი	2	9	16	23	30
შაბათი	3	10	17	24	
კვირა	4	11	18	25	

მაისი

ორშაბათი		3	10	17	24	31
სამშაბათი		4	11	18	25	
ოთხშაბათი		5	12	19	26	
ხუთშაბათი		6	13	20	27	
პარასკევი		7	14	21	28	
შაბათი	1	8	15	22	29	
კვირა	2	9	16	23	30	

ივნისი

ორშაბათი		7	14	21	28
სამშაბათი	1	8	15	22	29
ოთხშაბათი	2	9	16	23	30
ხუთშაბათი	3	10	17	24	
პარასკევი	4	11	18	25	
შაბათი	5	12	19	26	
კვირა	6	13	20	27	

ივლისი

ორშაბათი		5	12	19	26
სამშაბათი		6	13	20	27
ოთხშაბათი		7	14	21	28
ხუთშაბათი	1	8	15	22	29
პარასკევი	2	9	16	23	30
შაბათი	3	10	17	24	31
კვირა	4	11	18	25	

აგვისტო

ორშაბათი		2	9	16	23	30
სამშაბათი		3	10	17	24	31
ოთხშაბათი		4	11	18	25	
ხუთშაბათი		5	12	19	26	
პარასკევი		6	13	20	27	
შაბათი		7	14	21	28	
კვირა	1	8	15	22	29	

სექტემბერი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	29
ხუთშაბათი	2	9	16	23	30
პარასკევი	3	10	17	24	
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

ოქტომბერი

ორშაბათი		4	11	18	25
სამშაბათი		5	12	19	26
ოთხშაბათი		6	13	20	27
ხუთშაბათი		7	14	21	28
პარასკევი	1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	31

ნოემბერი

ორშაბათი	1	8	15	22	29
სამშაბათი	2	9	16	23	30
ოთხშაბათი	3	10	17	24	
ხუთშაბათი	4	11	18	25	
პარასკევი	5	12	19	26	
შაბათი	6	13	20	27	
კვირა	7	14	21	28	

დეკემბერი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	29
ხუთშაბათი	2	9	16	23	30
პარასკევი	3	10	17	24	31
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, ამიერიდან დაკანონებულია ქვემოთ ჩამოთვლილი უქმე დღეები, რომლებშიც საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ: 1 და 2 იანვარს – ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში; 7 იანვარს – ქრისტეშობის დღეს; 19 იანვარს – ნათლისღებას; 3 მარტს – დედის დღეს; 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს; 9 აპრილს – სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეს; სააღდგომო დღეებში – დიდ პარასკევს, დიდ შაბათს, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს; მიცვალებულთა მოხსენიების დღეს – აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს (თარიღები გარდამავალია); 9 მაისს – ფაშიზმზე გამარჯვების დღეს; 12 მაისს – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეს; 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს; 28 აგვისტოს – ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას); 14 ოქტომბერს – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს; 23 ნოემბერს – გიორგობის დღეს.

ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები

☉ მზე	♎ შემოდგომის დღეღამტოლობის (ბუნიობის) წერტილი
☽ მთვარე	E აღმოსავლეთის წერტილი
☿ მერკური	SE სამხრეთ-აღმოსავლეთი
♀ ვენერა	S სამხრეთის წერტილი
♁ დედამიწა	SW სამხრეთ-დასავლეთი
♂ მარსი	W დასავლეთის წერტილი
♃ იუპიტერი	NW ჩრდილო-დასავლეთი
♄ სატურნი	N ჩრდილოეთის წერტილი
◉ ურანი	
♆ ნეპტუნი	
● ახალმთვარეობა	NE ჩრდილო-აღმოსავლეთი
☽ მთვარის პირველი მეოთხედი	a წელიწადი
○ სავსემთვარეობა	d დღე-ღამე
☾ მთვარის უკანასკნელი მეოთხედი	h საათი
Z ზენიტური მანძილი	m წუთი ანუ მინუტი
A აზიმუტი	s წამი ანუ სეკუნდი
φ გეოგრაფიული განედი	° გრადუსი
λ გეოგრაფიული გრძედი	′ წუთი (რკალისა)
α პირდაპირი აღვლენა	″ წამი (რკალისა)
δ დახრილობა	
♈ გაზაფხულის დღეღამტოლობის (ბუნიობის) წერტილი	

ბერძნული ანბანი

Α, α ალფა	Η, η ეტა	Ν, υ ნიუ	Τ, τ ტაუ
Β, β ბეტა	Θ, ϑ თეტა	Ξ, ξ ქსი	Υ, ν იპსილონ
Γ, γ გამა	Ι, ι იოტა	Ο, ο ომიკრონ	Φ, φ ფი
Δ, δ დელტა	Κ, κ კაპპა	Π, π პი	Χ, χ ხ-ი
Ε, ε ეფსილონი	Λ, λ ლამბდა	Ρ, ρ როჲ	Ψ, ψ ფსი
Ζ ζ ძეტა	Μ, μ მიუ	Σ, σ სიგმა	Ω, ω ომეგა

როგორ ვისარგებლოთ კალენდრით

კალენდარში, სხვა ცნობებთან ერთად, მოცემულია მზის, მთვარის და პლანეტების კოორდინატები და სხვა სიდიდეები დროის ფიქსირებული მომენტებისათვის. ეს მომენტები უმთავრესად წარმოადგენენ ყოველი დღე-ღამის დასაწყისთა მიმდევრობას; ნელაცვალებადი სიდიდეებისთვის (პლანეტათა კოორდინატები) მომენტები აღებულია ყოველ მე-7 დღე-ღამეზე. ასე აღებული მომენტები წარმოადგენენ ცხრილების არგუმენტებს, განსაზღვრავენ ცხრილების ინტერვალებს და საშუალებას გვაძლევენ ვიპოვოთ აღნიშნული ცვალებადი სიდიდეების მნიშვნელობები წლის ნებისმიერი დღისთვის და ნებისმიერი მომენტისთვის ინტერპოლაციის წესით.

დროის აღრიცხვის შესახებ

კალენდარში რიგი მოვლენებისა მოცემულია თბილისის საშუალო დროით, ზოგი – მსოფლიო დროით, ე.წ. დედამიწის დინამიკური ან ვარსკვლავიერი დროით. ხშირად პრაქტიკული ასტრონომიის ამოცანების გადაწყვეტისას მოითხოვება ერთი სისტემის დროის გადაყვანა მეორე სისტემის დროში, ამიტომ, მოკლედ გავეცნოთ დროის აღრიცხვისა და დროს სხვადასხვა სახეობათა ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთ საკითხს.

დროის მუდმივი ერთეული, რომელსაც თვით ბუნება იძლევა, ვარსკვლავიერი დღე-ღამეა ანუ დროის ის ხანგრძლივობა, რომელშიაც ხდება დედამიწის ერთი სრული შემობრუნება თავისი ღერძის გარშემო. ეს შემობრუნება განისაზღვრება გაზაფხულის ბუნიობის წერტილის მიმართ, რომლის ზედა კულმინაცია ვარსკვლავიერი დღე-ღამის დასაწყისად მიიღება.

მაშასადამე, **ვარსკვლავიერი დღე-ღამე დროის ის ინტერვალია, რომელიც გაივლის გაზაფხულის ბუნიობის წერტილის ორ თანმიმდევნო ზედა კულმინაციას შორის.** ვარსკვლავიერი დღე-ღამის დასაწყისიდან მოცემულ მომენტამდე განვლილ დროს, გამოხატულს ვარსკვლავიერი საათებით, წუთებით და წამებით, ეწოდება ვარსკვლავიერი დრო.

მოცემულ მომენტში ზედა კულმინაციაში მყოფი ვარსკვლავის პირდაპირი აღვლენა ეტოლება ვარსკვლავიერ დროს. ამის გამო ცის მერიდიანზე ისეთი ვარსკვლავის გავლის მომენტის ასტრონომიული დაკვირვებით დადგენა, რომლის პირდაპირი აღვლენა ცნობილია, წარმოადგენს პირველწყაროს ზუსტი დროის მისაღებად.

ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა კავშირშია მზის ამოსვლა-ჩასვლასთან, მის დღეღამურ და წლიურ მოძრაობასთან. ცხადია, დრო უნდა იზომებოდეს მზის მიხედვით. მზე თავისი ხილული წლიური მოძრაობისას ვარსკვლავიერ ცაზე ერთ დღე-ღამეში გადაადგილდება აღმოსავლეთისკენ დაახლოებით 1°-ით. ამის გამო მზე, ვარსკვლავებთან შედარებით, კულმინაციას აგვიანებს ყოველდღიურად დაახლოებით 4 წუთით. მზის ცენტრის ორ თანმიმდევნო ზედა კულმინაციას შორის დროის ხანგრძლივობას ეწოდება ჭეშმარიტი მზისიერი დღე-ღამე და იგი 4 ვარსკვლავიერი წუთით უფრო გრძელია ვარსკვლავიერ დღე-ღამეზე. ვარსკვლავებისა და მზის კულმინაციის მომენტთა შორის სხვაობა ყოველდღიურად იკრიბება და ერთ წელიწადში ნაზრდი ერთ დღე-ღამეს გაუტოლდება.

მზის ხილული წლიური მოძრაობა ვარსკვლავიერ ცაზე უთანაბროა, ამიტომ ჭეშმარიტი დღე-ღამის სიდიდე არ არის მუდმივი. იგი მცირედ, მაგრამ მაინც იცვლება წლის განმავლობაში და თანაბრად მომუშავე საათს არ შეუძლია სწორად გვიჩვენოს ჭეშმარიტი დრო. მიზანშეწონილია დრო ავითვალოთ ისეთი წარმოსახვითი წერტილით (ე.წ. „საშუალო მზე"), რომელიც, ჭეშმარიტი მზისაგან განსხვავებით, მოძრაობს არა ეკლიპტიკაზე, არამედ ცის ეკვატორზე, ამასთან თანაბრად, და ვარსკვლავიერი ცის სრულ გარშემოვლას უნდება ზუსტად იმდენ ხანს, რამდენსაც ჭეშმარიტი მზე.

დროის ინტერვალს საშუალო მზის ორ ქვედა თანმიმდევნო კულმინაციას შორის ეწოდება საშუალო დღე-ღამე.

კალენდარში საშუალო დღე-ღამის დასაწყისად მიღებულია საშუალო შუაღამე – სამოქალაქო დღე-ღამის დასაწყისი, ე.ი. ის მომენტი, როცა საშუალო მზე იმყოფება ქვედა კულმინაციაში.

საშუალო დღე-ღამის ხანგრძლივობა მუდმივი ინტერვალია და ის მიღებულია დროის ძირითად საზომ ერთეულად. დიდი პერიოდის

გასაზომად მოხერხებულია ტროპიკული წელიწადი – **დროის ინტერვალი ჭეშმარიტი მზის ცენტრის ორ თანმიმდევნო გავლას შორის გაზაფხულის ბუნიობის წერტილზე.**

სამოქალაქო წელთაღრიცხვის საფუძველს ტროპიკული წელიწადი წარმოადგენს, რომელიც **366.2422** ვარსკვლავიერ ან **365.2422** საშუალო დღე-ღამეს შეიცავს. აქედან ერთი საშუალო დღე-ღამე უდრის **366.2422/365.2422=1.002738** ვარსკვლავიერ დღე-ღამეს, ანუ **$24^h03^m56^s.5555$**-ს **ვარსკვლავიერი დროით. ერთი ვარსკვლავიერი დღე-ღამე არის 365.2422/366.2422=0.997270 საშუალო დღე-ღამე, ანუ $23^h56^m04^s.091$** საშუალო დროით.

ასეთი დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს ვარსკვლავიერი დროის ნებისმიერი ინტერვალი გადავიყვანოთ საშუალო დროის ერთეულებში და პირიქით. ამ დამოკიდებულებათა საფუძველზე შედგენილია გადასაყვანი ცხრილები (გვ. 102-103).

როცა ჩვენთან შუადღეა, მაშინ დედამიწის ზედაპირის მოპირდაპირე მხარეზე შუაღამეა. მაშასადამე, სხვადასხვა პუნქტის მერიდიანზე ერთ აბსოლუტურ მომენტში სხვადასხვა დროა და ამავე მომენტში ადგილობრივ დროთა სხვაობა ტოლია ამ პუნქტების გეოგრაფიულ გრძედთა სხვაობისა. ამგვარად, თუ დედამიწის ორი პუნქტი არ ძევს ერთ მერიდიანზე, მაშინ ყოველ მათგანზე იქნება თავისი განსაკუთრებული დრო.

დედამიწის ზედაპირზე მოცემული პუნქტის დროს ეწოდება ამ პუნქტის ადგილობრივი დრო. მაგალითად: თბილისის, სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის, გრინვიჩის და სხვათა ადგილობრივი დრო.

გრინვიჩში გამავალი მერიდიანი, საერთაშორისო შეთანხმებით, მიღებულია საწყის ანუ ნულოვან მერიდიანად გეოგრაფიული გრძედის ათვლისას და **ამ მერიდიანის საშუალო დროს** ეწოდება მსოფლიო დრო.

1986 წლიდან ხილული გეოცენტრული ეფემერიდების ძირითად არგუმენტად, ადრე ხმარებული არგუმენტის – „ეფემერიდული დროის" ნაცვლად, შემოღებულია არგუმენტი „დედამიწის დინამიკური დრო". დროის ამ ახალი სკალის ნულ-პუნქტი არის 1977 1,0003725 იანვარი საერთაშორისო ატომური დროით 1977, $1^d00^h00^m00^s$ იანვრის მომენტში. ამ სკალაში დროის ერთეულია დღე-ღამე, რომელიც შეიცავს ვარსკვლავიერი დროის 86 400 წამს საშ. ზღვის დონეზე.

განსხვავება დედამიწის დინამიკურსა და მსოფლიო დროს შორის ცვალებადობს დროის მსვლელობაში, მაგრამ საერთოდ, ჩვენს ეპოქაში ეს განსხვავება ერთობ მცირეა, ამის გამო **დედამიწის**

დინამიკური დროის არგუმენტით გამოთვლილი ციურ სხეულთა კოორდინატების რიცხვითი მნიშვნელობები ან სხვა მონაცემები იმ მონაცემებთან შედარებით, რაც მსოფლიო დროის არგუმენტითაა მიღებული, იმდენად მცირედ განსხვავდება, რომ მარტივი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას უმრავლეს შემთხვევაში ეს განსხვავება უგულებელსაყოფია.

საშუალო ადგილობრივი დროით სარგებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში მოუხერხებელია, რადგანაც სხვადასხვა გეოგრაფიული გრძედის მქონე ყოველ ორ პუნქტში სხვადასხვა ადგილობრივი დროა. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად შემოიღეს ზოლური დრო. დედამიწის მთელი ზედაპირი დაიყო მერიდიანებით 24 ზოლად, ნულოვანიდან ოცდამესამემდე.

გრინვიჩის მერიდიანიდან დასავლეთით 7°.5-ით და აღმოსავლეთით 7°.5-ით დაშორებულ მერიდიანთა შორის მოთავსებული ზოლი მიღებულია ნულოვან ზოლად.

პირველი ზოლი ვრცელდება 7°.5 გრძედის მქონე მერიდიანიდან 22°.5 გრძედის მქონე მერიდიანამდე, მეორე – 22°.5-დან 37°.5-მდე და ა. შ**. თითოეულ ზოლში მოქცეულ ყოველ პუნქტში მიღებულია ამ ზოლის ცენტრალური, შუაზე გამავალი მერიდიანის საშუალო დრო.**

როგორც ჩანს, მოსაზღვრე ზოლთა ცენტრალური მერიდიანების მდებარეობა ერთიმეორისაგან 15°-ით განსხვავდება, ამიტომ ორ მეზობელ ზოლში საათის მაჩვენებელი ისარი განსხვავებას გვიჩვენებს ერთი საათით. მაგალითად, თუ გრინვიჩში (ნულოვან ზოლში) 9 საათია, ამ მომენტში პირველ ზოლში 10 საათია, მეორეში – 11 საათი და ა. შ.

ზოლების საზღვრები ყველგან როდი მიჰყვება მკაცრად მერიდიანებს. თუ სასაზღვრო მერიდიანი ქალაქს ან ერთგვარ ეკონომიკურ რაიონს კვეთს, მაშინ იმისთვის, რომ ერთსა და იმავე ქალაქში ან რაიონში სხვადასხვა დრო არ იხმარებოდეს, ზოლის საზღვარს მერიდიანიდან მოაშორებენ და ქალაქის ან რაიონის ეკონომიკურ – გეოგრაფიულ საზღვარს გააყოლებენ.

საბჭოთა კავშირში 1930 წელს გამოიცა დეკრეტი ზოლურ დროსთან შედარებით საათის ისრის ხელოვნურად ერთი საათით წინ გადაწევის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების შედარებით ადრე დაწყება, რაც გამოიწვევდა დილის ნათელი პერიოდის გამოყენებას და ამით ერთგვარ ეკონომიკურ მოგებას ენერგიის წყაროების დაზოგვის თვალსაზრისით. ასე განსაზღვრულ დროს **დეკრეტული დრო ეწოდება.**

დეკრეტული დრო ხელოვნურადაა წინ წაწეული მზის მოძრაობაზე დამყარებულ დროსთან შედარებით და, როგორც გამოირკვა, მისით სარგებლობა უარყოფით ბიოლოგიურ ზემოქმედებებს იწვევს. ამას გარდა, საეჭვოა თვით რეფორმის ეკონომიკური ეფექტურობაც, რადგან ზომიერ სარტყელშიც კი და კერძოდ, საქართველოში, რომ აღარაფერი ითქვას ჩრდილოეთის რაიონებზე, სადაც ზამთრის დღეები უაღრესად მოკლეა, წელიწადის საკმაოდ საგრძნობ პერიოდში დღის განათებული ნაწილი მნიშვნელოვნად ხანმოკლეა, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური პერიოდის ხანგრძლივობა. მაშასადამე დღის საკმაოდ დიდ ნაწილში ცხოვრება მაინც გვიწევს ხელოვნური განათების პირობებში, რის გამო მოგება აქტიური ცხოვრების დილით ადრე დაწყების გამო ნეიტრალდება მისი გვიან ღამით დამთავრებით. ამას გარდა, კიდეც რომ ეფექტური იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების დაწყების პერიოდული ცვლილებები, იგი შეიძლება უმტკივნეულოდ განხორციელდეს სამუშაოს თუ სწავლის დაწყების საათის ოპერატიული ცვლილებებით, დროის ათვლის პრინციპის დაურღვევლად და საათის ისრის გაუმართლებელი გადაწევის გარეშე, რასაც უარყოფითი შედეგი მოაქვს სხვა მხრივაც – რთულდება დროის აღრიცხვა და წარსულის ამა თუ იმ ეპოქაში მომხდარ მოვლენათა მომენტების ფიზიკური დღე-ღამის დასაწყისის მიმართ ჭეშმარიტი განლაგების გამოთვლა, აგრეთვე სხვადასხვა წლების კალენდართა ურთიერთშესაბამისობის აღდგენა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წლის 20 ივნისს გააუქმა საქართველოს ტერიტორიაზე დეკრეტული დრო. 1994 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა, თითქოსდა ეკონომიკური მოსაზრებით, დეკრეტული დრო დროებით აღადგინა. 1998 წლის 29 მარტიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დეკრეტული დრო საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ გაუქმდა, მაგრამ იმავე წლის 14 ნოემბრიდან, მოსახლეობის ნაწილის ინტერესთა გათვალისწინებით, ისევ აღდგა.

მაგრამ საფიქრებელი იყო – და ამას განუწყვეტლივ ითხოვდა ასტრონომიული საზოგადოებრიობაც – რომ ბუნებრივი დრო ოდესმე მაინც აღდგებოდა, რადგან იგი ყველაზე მეტად შეესაბამება ნებისმიერი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას და, ამდენად, ყველაზე უკეთ შეესატყვისება ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ოპტიმალურად წარმართვასაც როგორც სახელმწიფოს ფარგლებში, ისე საერთაშორისო მასშტაბებშიც ქვეყნებს შორის სულ უფრო მზარდ კავშირთა გათვალისწინებით. ერთი შეხედვით სწორედ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა,

რომლის N 177 ბრძანებით 2004 წლის 27 ივნისის ღამის 3 საათიდან საქართველოს ტერიტორიაზე საათის ისრები 1 საათით უკან გადასწიეს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დეკრეტული დრო გაუქმდა, საფიქრებელი იყო – საბოლოოდ. მაგრამ 2005 წლის 30 ოქტომბერს ახალი ბრძანებით აღარ განხორციელდა ამ მომენტისათვის წინასწარ გათვალისწინებული საათის ისრის ერთი საათით უკან გადაწევა (იხ. ქვემოთ), ამჯერადაც ენერგიის დაზოგვის მოსაზრებათა მოშველიებით. ეს კი დეკრეტული დროის აღდგენის ტოლფასი იყო. როგორც ვხედავთ, დროის აღრიცხვის სფეროში არცთუ გამართლებული ექსპერიმენტები გრძელდება.

ანალოგიური ვითარებაა ე.წ. სეზონური დროების საკითხშიც, რომლის არსი ისაა, რომ წელიწადის სხვადასხვა სეზონში საათის ისრები რიგრიგობით იწევა ხან წინ, ხან უკან. ამ მხრივ მიღწეული ეკონომიკური ეფექტიც ისევე საეჭვოა, როგორც დეკრეტული დროის ზემოგანხილულ შემთხვევაში, და იგი არასოდეს არც ერთ ქვეყანაში ზუსტად არ დაუთვლიათ. ვერც შეძლებდნენ დათვლას, რადგან საათის ისრების წამდაუწუმ გადაწევის თანმხლები ფსიქოლოგიური დისკომფორტის უარყოფითი შედეგები უზარმაზარი კია, მაგრამ ძნელია ისინი რიცხვებით გამოიხატოს. ამდენად, საათის ისრის სეზონური გადაწევ-გადმოწევაც უარყოფით მოვლენად მიგვაჩნია. მაგრამ იგი შეთანხმებულად ხდება მსოფლიოს ქვეყნების საკმაოდ დიდ ჯგუფში და იქ დღემდე ძალაშია ხან ე.წ. ზამთრის, ხან კი ზაფხულის დრო. საქართველოშიც მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა წესი: ყოველი წლის მარტის თვის ბოლო კვირადღის ღამის 2 საათიდან საათის ისარი გადაიწეოდა ერთი საათით წინ, ხოლო ოქტომბრის თვის ბოლო კვირადღის ღამის 3 საათიდან – ერთი საათით უკან. ეს თითქოსდა საშუალებას გვაძლევდა უფრო მეტად გამოგვეყენებინა დღე-ღამის ნათელი ნაწილი, რითაც დაიზოგებოდა ენერგეტიკული რესურსები. თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა სამუშაო დროის რეგულირება საათის ისრების გადაწევის გარეშე. ძნელი განსაჭვრეტი იყო, რომელ სტრატეგიას აირჩევდა საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებით შემდგომში. მოხდა კი ის, რომ ამ საკითხს დღემდე აღარავინ დაბრუნებია. არსებული ვითარება იმას ნიშნავს, რომ 2004 წლის 27 ივნისის ღამის 3 საათიდან საქართველოში საზაფხულო დრო გაუქმებულია და მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ ზოლურთან შედარებით 1 საათით წინ წაწეულ დროს.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

S – ადგილობრივი ვარსკვლავიერი დრო.

S_0 – თბილისის ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე (შუაღამეზე).

S – გრინვიჩის ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე (შუაღამეზე).

M – მსოფლიო დრო.

n – ადგილობრივი საშუალო დრო.

D – დეკრეტული დრო.

N – ზოლის ნომერი (საქართველო III ზოლშია).

λ – ადგილის გრძედი.

n_0 – თბილისის საშუალო დრო.

საქართველოს ტერიტორიისათვის გვექნება შემდეგი დამოკიდებულებანი:

I $D=M+N+1=M+4^h$

II $D=n+4^h-\lambda^h$

III $n=M+\lambda^h$

IV $n=D-4^h+\lambda^h$

V $n_0=D-1^h$

რიგი მოსაზრებების გამო კალენდრის სხვადასხვა წლების გამოშვებათა ცხრილებში ნახმარია ერთგან ერთგვარი, სხვაგან – სხვაგვარი დრო: მსოფლიო, დედამიწის დინამიკური, ადგილობრივი, თბილისის საშუალო და სხვ., რაც სათანადო ადგილებში აღნიშნულია. მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყროს ამ საკითხს, რათა ყოველთვის სწორად დაუკავშიროს სათანადო მოვლენა თუ მონაცემი დროს და მოახერხოს კიდეც მისი მიყვანა იმ დრომდე, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხმარობთ. გვახსოვდეს, რომ საინფორმაციო გამოშვებებში ნახსენები და, კერძოდ, რადიოთი გადმოცემული „მოსკოვის დრო" იგივეა, რაც II ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრეტული დრო (ე. წ. „ზამთრის" სეზონში), ან ამავე მერიდიანის დეკრეტული პლუს ზაფხულის დრო (ე.წ. „ზაფხულის" სეზონში). იმავე გამოცემებში ნახსენები „თბილისის დრო" კი ქვეყანაში დეკრეტული დროის მოქმედების პერიოდებში წარმოადგენდა (მაშასადამე, ამჟამადაც წარმოადგენს) III ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრეტულ დროს („ზამთრის" სეზონში), ან ამავე მერიდიანის დეკრეტულ პლუს ზაფხულის დროს („ზაფხულის" სეზონში, თუ საათის საგაზაფხულო წინწაწევა ხორციელდებოდა), დეკრეტული დროის გაუქმებულობის პერიოდებში კი „თბილისის დრო" უბრალოდ ემთხვეოდა III ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დროს („ზამთრის სეზონში") ან ერთი საათით წინ იყო მასზე („ზაფხულის

სეზონში”). ამჟამად კი “თბილისის დრო” მთელი წლის მანძილზე 1 საათით უსწრებს III ზოლის შუა მერიდიანის ადგილობრივ საშუალო დროს. უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, დეკრეტული და საზაფხულო დროების ერთდროული მოქმედების პირობებში თბილისში შუადღე “ზამთრის სეზონში” დგებოდა “თბილისის დროით” 13, “ზაფხულის სეზონში” კი 14 საათზე. ამჟამად კი ჩვენს ქვეყანაში შუადღე მთელი წლის განმავლობაში თბილისის დროით 13 საათზე დგება.

ვიმეორებთ, 2004 წლის 27 ივნისის შემდეგ საათის ისრის სეზონური წინ და უკან გადაწევა შეწყვეტილია. ეს სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ ან როგორც დეკრეტული დროის არსებობა, მთელი წლის მანძილზე „ზამთრის“ დროის ფორმით, ან, როგორც დეკრეტული დროის გაუქმებულობა, მაგრამ მთელი წლის მანძილზე “ზაფხულის” დროის მოქმედებით. ეს მხოლოდ ინტერპრეტაციის საკითხია. დეკრეტული და სეზონური დროების მიმართ საკუთარი პოზიცია მთავრობას აშკარა ფორმით ჯერაც არ გამოუხატავს, ამიტომ არაა ცხადი, საბოლოოა თუ არა არსებული მდგომარეობა. ის კი ევროპის ქვეყნებში არსებულისგან განსხვავებულია.

მზე

(გვ. 22-45). ლუწ გვერდებზე III, IV, V სვეტებში 41°, 42° და 43° გეოგრაფიული განედის მქონე პუნქტებისათვის მოცემულია მზის ამოსვლის, ხოლო VII, VIII, IX სვეტებში კი ჩასვლის მომენტები ამ პუნქტების საშუალო დროით. მზის ამოსვლის და ჩასვლის მომენტებად ითვლება მისი დისკოს ზედა კიდის ამოსვლისა და ჩასვლის მომენტები ჭეშმარიტ ჰორიზონტზე. ადგილის რეალური ჰორიზონტი ყოველთვის განსხვავდება ჭეშმარიტისაგან და, მაშასადამე, მოცემულ ადგილას ამოსვლა-ჩასვლის ფაქტობრივი მომენტებიც რამდენიმე წუთით (მაღალი მთების სიახლოვეს შეიძლება 1 საათზე მეტითაც) განსხვავებულია გამოთვლილი მომენტებისაგან (ეს ეხება სხვა ციურ სხეულთა ამოსვლა-ჩასვლასაც).

მზის ამოსვლა-ჩასვლის მოცემული მომენტები საქართველოს სხვადასხვა პუნქტისათვის, თბილისის დროით გამოსახვისას, ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს 40 წუთამდე.

მათ საპოვნელად უნდა მოვახდინოთ ინტერპოლაცია კალენდრის ცხრილების მონაცემებისა მოცემული პუნქტის φ განედისათვის, შემდეგ კი მიღებულ მომენტს დავამატოთ $(3^h - \lambda)$ სიდიდე, სადაც λ მოცემული პუნქტის გრძედია, გამოსახული საათებითა და წუთებით.

X სვეტი მოიცავს მზის ამოსვლისა და ჩასვლის ადგილის გეოდეზიური A აზიმუტის რიცხვით მნიშვნელობებს თბილისისათვის. A აითვლება ჰორიზონტის წრეწირზე ჩრდილოეთის წერტილიდან აღმოსავლეთით (+) ნიშნით და დასავლეთით (−) ნიშნით. საქართველოს სხვა პუნქტებისათვის A-ს სიდიდე უმნიშვნელოდ იქნება განსხვავებული ამ მნიშვნელობებისაგან. ეს მონაცემები გამოიყენება იმისათვის, რომ წინასწარ გავიგოთ ჰორიზონტის რა ადგილას უნდა მოველოდეთ მზის ამოსვლა-ჩასვლას. ადვილი მისახვედრია რომ, თუ A=90°, მზე ზუსტად აღმოსავლეთის წერტილში ამოდის (ეს ხდება გაზაფხულის და შემოდგომის დღეღამტოლობის დღეებში). ზაფხულის თვეებში A<90°; მზე ამოდის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის წერტილებს შორის.

კენტ გვერდებზე III სვეტში მოცემულია დღეები იულიუსის პერიოდისა, რომელიც შეიცავს 7980 წელიწადს და რომლის დასაწყისად ითვლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვრის გრინვიჩისეული საშუალო შუადღე. მაგალითად, 2021 წლის 1 თებერვალს (გვ. 25) ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვრიდან გასულია 2459246.5 დღე-ღამე.

იულიუსის აღრიცხვით დღეთა რაოდენობას ყოველ ორ თარიღს შორის მარტივად და შეუცდომლად გავიგებთ. ამიტომ ის ხშირად გამოიყენება ასტრონომიაში.

თვით იულიუსის პერიოდი უმცირესი საერთო ჯერადია 28, 19 და 15-წლიანი პერიოდებისა და ამ რიცხვთა ნამრავლით მიიღება: 28X19X15=7980. ყოველი 28 წლის შემდეგ მეორდება კალენდარულ თარიღთა შესაბამისი კვირის დღეები, ყოველი 19 წლის შემდეგ (ე.წ. მეტონის ციკლი) დაახლოებით მეორდება კალენდარულ თარიღთა შესაბამისი მთვარის ფაზები, 15-წლიანი პერიოდი კი ძველი რომის საბეგარო სისტემაში გამოიყენებოდა. ამრიგად, იულიუსის პერიოდის გასვლის შემდეგ 1 იანვარს კვლავ დადგება ამ სამივე შემადგენელი პერიოდის დასაწყისი.

მთვარე

(გვ 46-49). II, IV და VI სვეტებში მოცემულია მთვარის ამოსვლის, III, V და VII სვეტებში კი ჩასვლის მომენტები, თბილისისათვის ადგილობრივი საშუალო დროით წლის ყოველი დღისთვის. მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები საქართველოს სხვადასხვა პუნქტში ადგილობრივი საშუალო დროით შეიძლება ერთმანეთისგან

განსხვავდებოდეს დაახლოებით 10 წუთამდე, ამ ცხრილში მოყვანილი მომენტებისაგან კი დაახლოებით 20 წუთამდე (თბილისის დროით გამოსახვისას ეს სხვაობანი შეიძლება 1 საათს აღწევდეს). დეკრეტულ დროზე გადასაყვანად ამ მონაცემებს უნდა დაემატოს 1 საათი, საზაფხულო დროზე გადასაყვანად კი, სათანადო შუალედში, კიდევ ერთი საათი. რეალურმა ჰორიზონტმა, მაღალი მთების სიახლოვეს, ცხადია, შეიძლება საგრძნობი კორექტივი შეიტანოს მთვარის ამოსვლა-ჩასვლის რეალურ მომენტებში.

მთვარის ფაზები

(გვ. 50). ცხრილში მოცემულია მთვარის ძირითადი ფაზების მომენტები თბილისის საშუალო დროით. ნაჩვენებია დღე, საათი და წუთი.

მაგალითად, იანვარში, ახალმთვარეობა 13-შია; ეს ფაზა ზუს-ტად 8 საათსა და 03 წუთზე დგება. იმის გამო, რომ მთვარის თვე კა-ლენდარულ თვეზე მოკლეა, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ერთი და იგივე ფაზა მოცემულ თვეში განმეორდეს, მაგალითად 2 და 31 ივლისს.

პლანეტები

(გვ. 51—57). მოცემულია 2021 წლის განმავლობაში პლანეტების მდებარეობისა და მათი ხილვადობის აღწერილობა. (გვ. 58—67). წარმოდგენილია ცხრილები, რომელთა მე-2, მე-3 და მე-4 სვეტები შეიცავს პლანეტების ამოსვლის, ზედა კულმინაციის და ჩასვლის მომენტებს თბილისში, ადგილობრივი საშუალო დროით, დაწყებული 1 იანვრიდან ყოველი შემდეგი მე-7 დღისთვის, მთელი წლის მანძილზე. ეს მომენტები საქართველოს სხვა პუნქტებისათვის თბილისის დროით შეიძლება განსხვავდებოდეს 40 წუთამდე. მომენტები და კოორდინატები მოცემულია ასე იშვიათად იმის გამო, რომ ისინი შედარებით მცირედ ცვალებადობენ. ინტერპოლაციით გამოვითვლით ამ სიდიდეებს ნებისმიერი დღისთვის პრაქტიკულად საკმარისი სიზუსტით. მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 სვეტების მონაცემები მიგვითითებს სად უნდა მოველოდეთ ცთომილის ამოსვლას (ჩასვლას), რა მანძილზე უნდა იმყოფებოდეს დედამიწის ცენტრიდან და რომელ თანავარსკვლავედში უნდა ვეძებდეთ მას.

თუ გვაინტერესებს თბილისის დროით რომელ საათზე ამოვა, გაივლის ზედა კულმინაციაში ან ჩავა ესა თუ ის პლანეტა,

კალენდარულ მონაცემებს უნდა დავამატოთ 1 წუთი. საქმე ისაა, რომ თბილისის გრძედი 1^m-ით ნაკლებია მესამე სასაათო ზოლის შუა მერიდიანის გრძედზე, რომლის ადგილობრივ დროს “თბილისის დრო” ეწოდება. ამიტომ “თბილისის დრო” 1 წუთით წინაა ქ.თბილისის ადგილობრივ დროზე და სწორედ ამას ეყრდნობა ზემოთ აღნიშნული წესი.

სამოქალაქო და ასტრონომიული ბინდი და დღის ხანგრძლივობა

(გვ. 68-69). საღამოს ბინდის დასაწყისი და დილის ბინდის დასასრული მზის დისკოს ზედა კიდის ჰორიზონტის ხაზთან შეხების მომენტებია.

სამოქალაქო ბინდის ხანგრძლივობა უდრის დროის იმ ინტერვალს, რაც მზეს დასჭირდება ჰორიზონტის ქვემოთ 6°-ით ჩაშვებისათვის (ან ამ მანძილის გავლისათვის ქვევიდან ზევით — ჰორიზონტამდე), ხოლო ასტრონომიული ბინდისა — ჰორიზონტს ქვემოთ 18°-ით ჩაშვებისათვის.

VI და VII სვეტებში მოცემულია ბინდის ხანგრძლივობა. მისი გამოთვლა ადვილია, როგორც სხვაობისა, მაგალითად, მზის ამოსვლის მომენტსა და დილის ბინდის დასაწყისის მომენტს შორის (სათანადო ცხრილიდან).

VIII სვეტში მოცემულია დღის ხანგრძლივობა, რაც დროის ინტერვალია დილის ბინდის დასასრულიდან საღამოს ბინდის დასაწყისამდე.

ეს ცხრილი შედგენილია 42° განედისათვის და გამოსადეგია საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის.

მზისა და მთვარის დაბნელებანი

(გვ. 70-71). მოცემულია ცნობები მზისა და მთვარის დაბნელებების შესახებ.

2021 წელს დედამიწაზე მოხდება მზის ორი დაბნელება: 10 ივნისს რგოლისებრი და 4 დეკემბერს – სრული. საქართველოდან არც ერთი ამათგანი არ გამოჩნდება. აგრეთვე მოხდება მთვარის ორი დაბნელება: 26 მაისს – სრული და 19 ნოემბერს – ნაწილობრივი. საქართველოს ტერიტორიიდან არც ეს დაბნელებები გამოჩნდება.

შესანიშნავი მეტეორული ნაკადები

(გვ. 72). მეტეორთა ნაკადების სიაში შეტანილია ძირითადად მხოლოდ ისეთები, რომელთა დაკვირვებისათვის საუკეთესო პირობებია მეტეორების სიხშირისა და ხილვადობის მხრივ.

მე-2 სვეტში მოცემულია ნაკადის სახელწოდება იმ თანავარსკვლავედის ლათინური დასახელებით, რომელშიც იმყოფება მისი რადიანტი ანუ წერტილი, საიდანაც თითქოს შემოიჭრებიან ცაზე მოცემული ნაკადის მეტეორები.

მე-4 სვეტი შეიცავს მაქსიმუმის დღეს, რომელიც შეესაბამება ჩვენს ცაზე შემოჭრილ მეტეორთა მაქსიმალურ რაოდენობას ერთ საათში. მე-8 სვეტში მოცემულია მეტეორთა რაოდენობა, რაც წარმოადგენს უმთვარო ღამით ერთი დამკვირვებლის მიერ ერთ საათში დათვლილ მეტეორთა რიცხვს.

ვარსკვლავთა საშუალო მდებარეობანი 2021 წლის მომენტისათვის

(გვ. 73-76). მოცემულია კაშკაშა ვარსკვლავების საშუალო მდებარეობების ზუსტი ეკვატორული კოორდინატები. ამ ცხრილში შევიდა 3.5 ვარსკვლავიერ სიდიდეზე უფრო კაშკაშა ყველა ვარსკვლავი, რომელთა დახრილობა +90°-სა და −30°-ს შორისაა.

ცვალებადი ვარსკვლავები

(გვ. 77-80). ვარსკვლავებს, რომელთა სიკაშკაშე არასტაბილურია, ცვალებად ვარსკვლავებს უწოდებენ. მათი სიკაშკაშის ცვალებადობის ხასიათის შესწავლა საინტერესო მეცნიერულ ამოცანას წარმოადგენს. სიკაშკაშის ცვალებადობა გამოწვეულია ან ფიზიკური მოვლენებით თვით ვარსკვლავებში (მაგ. ცეფეიდები), ან ოპტიკური ეფექტით, რაც გამოიხატება ორმაგი ვარსკვლავების კომპონენტების მიერ ერთმანეთის პერიოდული დაბნელებით (ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავები). ცხრილში მოყვანილია მონაცემები ისეთი ცვალებადი ვარსკვლავებისათვის, რომელთა დაკვირვება მისაწვდომია მცირე ზომის ტელესკოპებით.

IV სვეტში მოცემულია ვარსკვლავის მაქსიმალური და მინიმალური სიკაშკაშის მნიშვნელობანი, გამოხატული ვარსკვლავიერი სიდიდეებით. მათი სხვაობა გვაძლევს სიკაშკაშის ცვალებადობის ფარგლებს, ანუ ამპლიტუდას.

V სვეტში მოცემულია სიკაშკაშის მაქსიმუმის (ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავების შემთხვევაში მინიმუმის) მომენტის გამოსათვლელი ფორმულა, რომელშიც პირველი წევრი წარმოადგენს სიკაშკაშის მაქსიმუმის (მინიმუმის) საწყის მომენტს, გამოხატულს იულიუსის დღეებით; მეორე წევრი კი წარმოადგენს ცვალებადობის პერიოდისა და E ფაქტორის ნამრავლს, გამოხატულს დღე-ღამეებით. E ფაქტორი ნიშნავს საწყისი მომენტიდან დაკვირვების მომენტამდე გასული პერიოდების რიცხვს.

დაკვირვება ისეთ ცვალებად ვარსკვლავზე, რომელიც სწრაფად იცვლის სიკაშკაშეს და ჩანს შეუიარაღებელი თვალით, ერთობ საინტერესოა. იმისთვის, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავთა ცვალებადობის ხასიათზე, საჭიროა მათზე სისტემატური დაკვირვება.

მოყვანილია მონაცემები რამდენიმე გრძელპერიოდიანი ცვალებადისა და ერთი ტიპიური ცვალებადი ვარსკვლავის პერსევსის β-ს სიკაშკაშის ცვალებადობის შესახებ, რომელზეც დაკვირვება ადვილი მოსახერხებელია.

რეფრაქციის ცხრილები

(გვ. 83-84). დედამიწის ატმოსფერო ამრუდებს ციურ მნათობთა სხივების სვლას, სახელდობრ, აახლოებს მას ვერტიკალურ მიმართულებასთან. ამის გამო მნათობები მათი ჭეშმარიტი მდებარეობებისაგან რამდენადმე ზენიტისკენ გადაადგილებულნი გვეჩვენება. ამ გადაადგილების სიდიდეს და თვით მოვლენასაც რეფრაქციას უწოდებენ (რეფრაქცია გარდატეხას ნიშნავს). რეფრაქციის სიდიდე სხვადასხვაა ზენიტიდან სხვადასხვანაირად დაშორებული მნათობებისთვის და, ამას გარდა, რამდენადმე დამოკიდებულია ატმოსფეროს ტემპერატურასა და ბარომეტრულ წნევაზე.

რეფრაქციის სიდიდის ცოდნა აუცილებელია, რათა მნათობების ნამდვილი, კატალოგებში აღნიშნული მდებარეობების მიხედვით გამოვითვალოთ ცაზე მათი ხილული მდებარეობანი ან პირიქით: დაკვირვებით განსაზღვრული მნათობების ხილული კოორდინატების საშუალებით განვსაზღვროთ მათივე ჭეშმარიტი კოორდინატები.

მოგვყავს საშუალო რეფრაქციის, აგრეთვე რეფრაქციაზე წნევისა და ტემპერატურის გავლენის ამსახველი ცხრილები.

ცნობები რამდენიმე უკაშკაშესი და უახლოესი ვარსკვლავის შესახებ

(გვ. 85-86). მოცემულია ძირითადი ცნობები ბრწყინვალების, მანძილის, ტემპერატურის და სხვათა შესახებ.

ორჯერადი ვარსკვლავები კომპონენტებს შორის მკვეთრად განსხვავებული ფერებით

(გვ. 86). დაკვირვებისთვის თავისებურ ინტერესს წარმოადგენს ორჯერადი ვარსკვლავები, რომელთა კომპონენტებს განსხვავებული ფერები ახასიათებთ, რაც მათი ტემპერატურების სხვადასხვაობით არის გამოწვეული. ცხრილში მოცემულია ასეთი კაშკაშა სისტემები.

ორჯერადი ვარსკვლავები

(გვ. 87). ორ ვარსკვლავს, რომელნიც მათი საერთო სიმძიმის ცენტრის გარშემო ბრუნავენ, ორჯერად ვარსკვლავს უწოდებენ. თუ ასეთ სისტემას ქმნის სამი ვარსკვლავი, მას სამჯერადს უწოდებენ და ა.შ. ორჯერად სისტემაში უფრო კაშკაშა ვარსკვლავს აღნიშნავენ როგორც A კომპონენტს, მეორეს კი როგორც B კომპონენტს.

ცხრილში მოცემულია შედარებით კაშკაშა ჯერადი სისტემები, რომელთა კომპონენტებს შორის დაშორება არცთუ ძალიან მცირეა. მათი ჯერადობის შემჩნევა და დაკვირვება შესაძლებელია მცირე ზომის ტელესკოპით ან ძლიერი დურბინდით.

ღია და სფერული გროვები

(გვ. 88). სივრცის შედარებით მცირე მოცულობაში ვარსკვლავთა სივრცულ შეჯგუფებას ეწოდება ვარსკვლავთა გროვა. თუ ვარსკვლავები თავმოყრილია სფეროს ან ბრუნვითი ელიფსოიდის ფორმის მქონე არეში, მაშინ ასეთ გროვას ეწოდება სფერული. სფერულ გროვაში შეიძლება შედიოდეს ათეულობით ათასი ვარსკვლავი. ასეთ გროვებში ვარსკვლავების ერთმანეთთან მჭიდრო განლაგების გამო არ ხერხდება მათი რაოდენობის ზუსტი დადგენა და ძნელდება ცალკეული ვარსკვლავის ბრწყინვალების გაზომვა. თუ ვარსკვლავები თავმოყრილია უწესო ფორმის სახით და ხშირად ისინი

ადვილად არ გამოირჩევიან მათ გარშემო მდებარე ვარსკვლავთაგან, მაშინ ასეთებს ვარსკვლავთ ღია გროვებს უწოდებენ. ასეთ გროვებში შეიძლება შედიოდეს რამდენიმე ასეული ვარსკვლავი. ცხრილში თავმოყრილ ვარსკვლავთა გროვების დაკვირვება მცირე ზომის ტელესკოპითაც შეიძლება.

ბნელი, დიფუზური და პლანეტსახის ნისლეულები

(გვ. 89). მოყვანილია ჩვენს გალაქტიკაში შემავალი ზოგიერთი სხვადასხვა ფორმის, სუსტად მნათი აირებისა და კოსმოსური მტვრის მასები, ან დიფუზური (დიფ) ნისლეულები. ასეთი მასები, თუ არ ანათებენ, ბნელ (ბნ) ნისლეულებად იწოდებიან. თუ ნისლეული მცირე ზომის არეს იჭერს, მრგვალი ან შებრტყელებული ფორმისაა და მის ცენტრში ვარსკვლავი გამოსჭვივის, მაშინ ასეთს პლანეტსახის (პლ) ნ ისლეული ეწოდება.

გალაქტიკები

(გვ. 90). მოყვანილია ვარსკვლავთა სისტემები, რომლებიც ჩვენი ვარსკვლავთ სისტემის ანუ ჩვენი გალაქტიკის მსგავსია და იმყოფება ზესივრცეში ჩვენი გალაქტიკის გარეთ. ასეთი სისტემები, ანუ გალაქტიკები სამყაროში აურაცხელი რაოდენობითაა. გალაქტიკები თავიანთი ფორმის და ევოლუციის მიხედვით იყოფიან სპეციფიკურ ჯგუფებად: E, Sb, Sc და სხვ.

სხვა მონაცემები

შემდგომ გვერდებზე (გვ. 91-104). მოცემულია ძირითადი ცნობები პლანეტებსა და მათ თანამგზავრებზე: დედამიწაზე, მთვარესა და მზეზე: მოცემულია ზოგიერთი მუდმივი სიდიდის მნიშვნელობანი, სხვა დამხმარე ცხრილები და აღნიშვნებიც. ყველა საჭირო განმარტება თვით ცხრილებში მოიპოვება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩვენი კალენდრის 2008 წლის გამოშვებიდან დაწყებული, პლუტონი ამოვიღეთ მზის სისტემის დიდი პლანეტების ცხრილიდან. ამას გარდა, განვაახლეთ პლანეტების თანამგზავრთა ცხრილები ბოლო წლებში აღმოჩენილ თანამგზავრთა გათვალისწინებით.

თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	
					ი ა ნ ვ ა რ ი				
		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	პრ	7 25	7 28	7 32	12 03 33	16 42	16 39	16 36	121
2	შბ	7 25	7 28	7 32	12 04 01	16 43	16 40	16 37	121
3	კვ	7 25	7 28	7 32	12 04 29	16 44	16 41	16 38	120
4	ორ	7 25	7 28	7 32	12 04 56	16 45	16 42	16 39	120
5	სმ	7 25	7 28	7 32	12 05 23	16 46	16 43	16 40	120
6	ოთ	7 25	7 28	7 32	12 05 50	16 47	16 44	16 41	120
7	ხთ	7 25	7 28	7 31	12 06 16	16 48	16 45	16 42	120
8	პრ	7 25	7 28	7 31	12 06 42	16 49	16 46	16 43	120
9	შბ	7 25	7 27	7 31	12 07 07	16 50	16 47	16 44	119
10	კვ	7 25	7 27	7 31	12 07 31	16 51	16 48	16 45	119
11	ორ	7 24	7 27	7 30	12 07 56	16 52	16 49	16 46	119
12	სმ	7 24	7 27	7 30	12 08 19	16 53	16 50	16 47	119
13	ოთ	7 24	7 26	7 30	12 08 42	16 54	16 51	16 48	119
14	ხთ	7 23	7 26	7 29	12 09 04	16 55	16 52	16 50	118
15	პრ	7 23	7 25	7 28	12 09 26	16 56	16 54	16 51	118
16	შბ	7 22	7 25	7 28	12 09 47	16 58	16 55	16 52	118
17	კვ	7 22	7 24	7 27	12 10 07	16 59	16 56	16 53	118
18	ორ	7 21	7 24	7 27	12 10 27	17 00	16 58	16 54	117
19	სმ	7 21	7 23	7 26	12 10 46	17 01	16 59	16 56	117
20	ოთ	7 20	7 23	7 26	12 11 04	17 02	17 00	16 57	117
21	ხთ	7 20	7 22	7 25	12 11 21	17 04	17 01	16 58	116
22	პრ	7 19	7 21	7 24	12 11 38	17 05	17 02	16 59	116
23	შბ	7 18	7 21	7 24	12 11 54	17 06	17 03	17 01	116
24	კვ	7 18	7 20	7 23	12 12 09	17 07	17 05	17 02	115
25	ორ	7 17	7 20	7 22	12 12 23	17 08	17 06	17 03	115
26	სმ	7 16	7 19	7 22	12 12 36	17 10	17 07	17 04	115
27	ოთ	7 16	7 18	7 20	12 12 49	17 11	17 08	17 06	114
28	ხთ	7 15	7 17	7 20	12 13 00	17 12	17 09	17 07	114
29	პრ	7 14	7 16	7 18	12 13 11	17 13	17 11	17 08	114
30	შბ	7 13	7 15	7 18	12 13 21	17 14	17 12	17 10	113
31	კვ	7 12	7 14	7 16	12 13 31	17 16	17 13	17 11	113

იანვარი

თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან განვლილი მისი ნაწილი	იულიუსისეული პერიოდის დღე	ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე მსოფლიო დროით	დედამიწის დინამიკური დროით 0^h-ზე ხილული α	დედამიწის დინამიკური დროით 0^h-ზე ხილული δ	ხილული რადიუსი	ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე თბილისის საშუალო დროით
		2459	h m s	h m s	° ‘	′ ″	h m s
1	0.002	215.5	6 43 27	18 46 52	-23 01	16 18	6 42 58
2	.004	216.5	6 47 24	18 51 17	22 56	16 18	6 46 54
3	.007	217.5	6 51 20	18 55 41	22 50	16 18	6 50 51
4	.010	218.5	6 55 17	19 00 05	22 44	16 18	6 54 47
5	.013	219.5	6 59 13	19 04 29	22 38	16 18	6 58 44
6	.015	220.5	7 03 10	19 08 52	22 31	16 18	7 02 41
7	.018	221.5	7 07 06	19 13 15	22 24	16 18	7 06 37
8	.021	222.5	7 11 03	19 17 37	22 16	16 17	7 10 34
9	.024	223.5	7 15 00	19 21 59	22 08	16 17	7 14 30
10	.026	224.5	7 18 56	19 26 20	21 59	16 17	7 18 27
11	.029	225.5	7 22 53	19 30 40	21 50	16 17	7 22 23
12	.032	226.5	7 26 49	19 35 00	21 40	16 17	7 26 20
13	.034	227.5	7 30 46	19 39 20	21 31	16 17	7 30 16
14	.037	228.5	7 34 42	19 43 39	21 20	16 17	7 34 13
15	.040	229.5	7 38 39	19 47 57	21 10	16 17	7 38 10
16	.043	230.5	7 42 35	19 52 14	20 58	16 17	7 42 06
17	.045	231.5	7 46 33	19 56 31	20 47	16 17	7 46 03
18	.048	232.5	7 50 29	20 00 47	20 35	16 17	7 49 59
19	.051	233.5	7 54 25	20 05 03	20 23	16 17	7 53 56
20	.054	234.5	7 58 22	20 09 18	20 10	16 17	7 57 52
21	.056	235.5	8 02 18	20 13 32	19 57	16 17	8 01 49
22	.059	236.5	8 06 15	20 17 45	19 43	16 17	8 05 45
23	.062	237.5	8 10 19	20 21 58	19 29	16 16	8 09 49
24	.065	238.5	8 14 08	20 26 09	19 15	16 16	8 13 39
25	.067	239.5	8 18 04	20 30 20	19 01	16 16	8 17 35
26	.070	240.5	8 22 01	20 34 30	18 46	16 16	8 21 32
27	.073	241.5	8 25 58	20 38 40	18 30	16 16	8 25 28
28	.076	242.5	8 29 54	20 42 48	18 15	16 16	8 29 25
29	.078	243.5	8 33 51	20 46 56	17 59	16 16	8 33 21
30	.081	244.5	8 37 47	20 51 03	17 43	16 16	8 37 18
31	0.084	245.5	8 41 44	20 55 09	-17 26	16 16	8 41 14

თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობ-რივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობ-რივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	
თებერვალი									
		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	ორ	7 11	7 13	7 15	12 13 39	17 17	17 14	17 12	112
2	სმ	7 10	7 12	7 14	12 13 47	17 18	17 16	17 14	112
3	ოთ	7 09	7 11	7 13	12 13 53	17 20	17 18	17 15	112
4	ხთ	7 08	7 10	7 12	12 14 00	17 19	17 17	17 15	111
5	პრ	7 07	7 09	7 11	12 14 05	17 21	17 19	17 17	111
6	შბ	7 06	7 08	7 10	12 14 09	17 23	17 21	17 19	110
7	კვ	7 05	7 07	7 09	12 14 13	17 24	17 22	17 20	110
8	ორ	7 03	7 05	7 07	12 14 16	17 26	17 24	17 22	110
9	სმ	7 02	7 04	7 06	12 14 18	17 27	17 25	17 23	109
10	ოთ	7 01	7 03	7 05	12 14 19	17 28	17 26	17 24	109
11	ხთ	7 00	7 02	7 04	12 14 20	17 29	17 27	17 25	108
12	პრ	6 58	7 00	7 02	12 14 19	17 31	17 29	17 27	108
13	შბ	6 57	6 59	7 01	12 14 18	17 32	17 30	17 28	107
14	კვ	6 56	6 57	6 59	12 14 17	17 33	17 32	17 30	107
15	ორ	6 54	6 56	6 58	12 14 14	17 34	17 33	17 31	106
16	სმ	6 53	6 55	6 56	12 14 11	17 36	17 34	17 32	106
17	ოთ	6 52	6 53	6 55	12 14 07	17 37	17 35	17 34	105
18	ხთ	6 51	6 52	6 54	12 14 02	17 38	17 37	17 35	105
19	პრ	6 49	6 50	6 52	12 13 57	17 39	17 38	17 36	105
20	შბ	6 48	6 49	6 50	12 13 51	17 40	17 39	17 38	104
21	კვ	6 47	6 48	6 49	12 13 45	17 41	17 40	17 39	104
22	ორ	6 45	6 46	6 48	12 13 37	17 42	17 41	17 40	103
23	სმ	6 44	6 45	6 46	12 13 29	17 44	17 43	17 41	103
24	ოთ	6 42	6 43	6 44	12 13 21	17 45	17 44	17 43	102
25	ხთ	6 41	6 42	6 43	12 13 11	17 46	17 45	17 44	102
26	პრ	6 39	6 40	6 41	11 13 02	17 47	17 46	17 45	101
27	შბ	6 38	6 39	6 40	12 12 51	17 48	17 47	17 46	101
28	კვ	6 36	6 37	6 38	12 12 40	17 50	17 49	17 48	100

თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან გასული მისი ნაწილი	იულიუსისეული პერიოდის დღე	ვარსკვლავური დრო 0^h-ზე მსოფლიო დროით	დედამიწის დინამიკური დროით 0^h-ზე ხილული α	დედამიწის დინამიკური დროით 0^h-ზე ხილული δ	ხილული რადიუსი	ვარსკვლავური დრო 0^h-ზე თბილისის სა-შუალო დროით
თებერვალი							
		2459	h m s	h m s	° ′	′ ″	h m s
1	0.086	246.5	8 45 40	20 59 14	-17 09	16 15	8 45 11
2	.089	247.5	8 49 37	21 03 18	16 52	16 15	8 49 08
3	.092	248.5	8 53 33	21 07 22	16 35	16 15	8 53 04
4	.095	249.5	8 57 30	21 11 24	16 17	16 15	8 57 01
5	.098	250.5	9 01 27	21 15 26	15 59	16 15	9 00 57
6	.100	251.5	9 05 23	21 19 27	15 41	16 15	9 04 54
7	.103	252.5	9 09 20	21 23 28	15 22	16 15	9 08 50
8	.106	253.5	9 13 16	21 27 27	15 03	16 14	9 12 47
9	.108	254.5	9 17 13	21 31 26	14 44	16 14	9 16 43
10	.111	255.5	9 21 09	21 35 24	14 25	16 14	9 20 40
11	.114	256.5	9 25 06	21 39 21	14 05	16 14	9 24 37
12	.117	257.5	9 29 02	21 43 17	13 45	16 14	9 28 33
13	.119	258.5	9 32 59	21 47 13	13 25	16 13	9 32 30
14	.122	259.5	9 36 56	21 51 08	13 05	16 13	9 36 26
15	.125	260.5	9 40 52	21 55 02	12 45	16 13	9 40 23
16	.128	261.5	9 44 49	21 58 55	12 24	16 13	9 44 19
17	.130	262.5	9 48 45	22 02 48	12 03	16 13	9 48 16
18	.133	263.5	9 52 42	22 06 40	11 42	16 12	9 52 12
19	.136	264.5	9 56 38	22 10 31	11 21	16 12	9 56 09
20	.138	265.5	10 00 35	22 14 22	10 59	16 12	10 00 06
21	.141	266.5	10 04 31	22 18 12	10 38	16 12	10 04 02
22	.144	267.5	10 08 28	22 22 02	10 16	16 12	10 07 59
23	.147	268.5	10 12 25	22 25 50	9 54	16 11	10 11 55
24	.150	269.5	10 16 21	22 29 39	9 32	16 11	10 15 52
25	.152	270.5	10 20 18	22 33 26	9 10	16 11	10 19 48
26	.155	271.5	10 24 14	22 37 13	8 48	16 11	10 23 45
27	.158	272.5	10 28 11	22 41 00	8 25	16 10	10 27 41
28	0.160	273.5	10 32 07	22 44 45	-8 02	16 10	10 31 38

თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	
მარტი									
		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	ორ	6 35	6 36	6 37	12 12 29	17 51	17 50	17 49	100
2	სმ	6 33	6 34	6 35	12 12 17	17 52	17 51	17 50	99
3	ოთ	6 31	6 32	6 33	12 12 04	17 53	17 52	17 51	99
4	ხთ	6 30	6 31	6 32	12 11 51	17 54	17 53	17 53	98
5	პრ	6 28	6 29	6 30	12 11 38	17 55	17 55	17 54	98
6	შბ	6 27	6 28	6 28	12 11 24	17 56	17 56	17 55	97
7	კვ	6 26	6 26	6 26	12 11 10	17 58	17 57	17 56	97
8	ორ	6 24	6 24	6 25	12 10 55	17 59	17 58	17 58	96
9	სმ	6 22	6 23	6 23	12 10 40	18 00	17 59	17 59	96
10	ოთ	6 21	6 21	6 21	12 10 25	18 01	18 01	18 00	95
11	ხთ	6 19	6 20	6 20	12 10 10	18 02	18 02	18 01	94
12	პრ	6 18	6 18	6 18	12 09 54	18 04	18 03	18 02	94
13	შბ	6 16	6 16	6 16	12 09 37	18 05	18 04	18 04	93
14	კვ	6 14	6 14	6 14	12 09 21	18 06	18 05	18 05	93
15	ორ	6 12	6 13	6 13	12 09 04	18 07	18 07	18 06	92
16	სმ	6 11	6 11	6 11	12 08 47	18 08	18 08	18 07	92
17	ოთ	6 09	6 09	6 09	12 08 30	18 09	18 09	18 08	91
18	ხთ	6 07	6 07	6 07	12 08 13	18 10	18 10	18 10	91
19	პრ	6 06	6 06	6 06	12 07 55	18 11	18 11	18 11	90
20	შბ	6 04	6 04	6 04	12 07 38	18 12	18 12	18 12	90
21	კვ	6 03	6 03	6 02	12 07 20	18 13	18 13	18 13	89
22	ორ	6 01	6 01	6 00	12 07 02	18 14	18 14	18 14	89
23	სმ	5 59	5 59	5 59	12 06 44	18 15	18 15	18 16	88
24	ოთ	5 58	5 57	5 57	12 06 26	18 16	18 16	18 17	88
25	ხთ	5 56	5 56	5 55	12 06 07	18 17	18 18	18 18	87
26	პრ	5 54	5 54	5 53	12 05 49	18 18	18 19	18 19	87
27	შბ	5 52	5 52	5 52	12 05 31	18 20	18 20	18 20	86
28	კვ	5 51	5 50	5 50	12 05 12	18 20	18 21	18 22	85
29	ორ	5 49	5 48	5 48	12 04 54	18 22	18 22	18 23	85
30	სმ	5 47	5 47	5 46	12 04 36	18 22	18 23	18 24	84
31	ოთ	5 46	5 45	5 44	12 04 18	18 24	18 24	18 25	84

თვის რიცხვი	წლის დასაწყისი-დან განვლილი მისი ნაწილი	იულიუსისეული პე-რიოდის დღე	ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე მსოფლიო დროით	დედამიწის დინამიკური დროით 0^h-ზე ხილული α	ხილული δ	ხილული რადიუსი	ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე თბილისის სა-შუალო დროით
			მ ა რ ტ ი				
		2459	h m s	h m s	° ʹ	ʹ ʺ	h m s
1	0.163	274.5	10 36 04	22 48 31	-7 40	16 10	10 35 34
2	.166	275.5	10 40 00	22 52 15	7 17	16 10	10 39 31
3	.169	276.5	10 43 57	22 56 00	6 54	16 10	10 43 28
4	.171	277.5	10 47 54	22 59 43	6 31	16 09	10 47 24
5	.174	278.5	10 51 50	23 03 27	6 08	16 09	10 51 21
6	.177	279.5	10 55 47	23 07 10	5 45	16 09	10 55 17
7	.180	280.5	10 59 43	23 10 52	5 21	16 09	10 59 14
8	.182	281.5	11 03 40	23 14 34	4 58	16 08	11 03 10
9	.185	282.5	11 07 36	23 18 16	4 35	16 08	11 07 07
10	.188	283.5	11 11 33	23 21 57	4 11	16 08	11 11 04
11	.191	284.5	11 15 29	23 25 38	3 48	16 08	11 15 00
12	.193	285.5	11 19 26	23 29 18	3 24	16 07	11 18 57
13	.196	286.5	11 23 23	23 32 59	3 00	16 07	11 22 53
14	.199	287.5	11 27 19	23 36 39	2 37	16 07	11 26 50
15	.202	288.5	11 31 16	23 40 19	2 13	16 06	11 30 46
16	.204	289.5	11 35 12	23 43 58	1 49	16 06	11 34 43
17	.207	290.5	11 39 09	23 47 38	1 26	16 06	11 38 39
18	.210	291.5	11 43 05	23 51 17	1 02	16 06	11 42 36
19	.212	2925	11 47 02	23 54 56	0 38	16 05	11 46 32
20	.215	293.5	11 50 58	23 58 35	-0 15	16 05	11 50 29
21	.218	2945	11 54 55	0 02 14	+0 09	16 05	11 54 26
22	.221	2955	11 58 52	0 05 52	0 33	16 05	11 58 22
23	.223	296.5	12 02 48	0 09 31	0 57	16 04	12 02 19
24	.226	297.5	12 06 45	0 13 10	1 20	16 04	12 06 15
25	.229	2985	12 10 41	0 16 48	1 44	16 04	12 10 12
26	.232	2995	12 14 38	0 20 27	2 07	16 03	12 14 08
27	.234	300.5	12 18 34	0 24 05	2 31	16 03	12 18 05
28	.237	3015	12 22 31	0 27 43	2 54	16 03	12 22 01
29	.240	302.5	12 26 27	0 31 22	3 18	16 03	12 25 58
30	.243	303.5	12 30 24	0 35 00	3 41	16 02	12 29 55
31	0.245	304.5	12 34 21	0 38 39	+4 04	16 02	12 33 51

თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულ-მინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობ-რივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	
ა პ რ ი ლ ი									
		h m	h m	h m	h m s	h m	h m	h m	°
1	ხთ	5 44	5 43	5 42	12 04 00	18 24	18 25	18 26	83
2	პრ	5 42	5 41	5 41	12 03 42	18 26	18 26	18 27	83
3	შბ	5 41	5 40	5 39	12 03 24	18 27	18 27	18 28	82
4	კვ	5 39	5 38	5 37	12 03 06	18 28	18 29	18 30	82
5	ორ	5 38	5 37	5 36	12 02 48	18 29	18 30	18 31	81
6	სმ	5 36	5 35	5 34	12 02 31	18 30	18 31	18 32	81
7	ოთ	5 34	5 33	5 32	12 02 14	18 31	18 32	18 33	80
8	ხთ	5 33	5 32	5 31	12 01 57	18 32	18 33	18 34	80
9	პრ	5 31	5 30	5 29	12 01 40	18 33	18 34	18 35	79
10	შბ	5 30	5 29	5 27	12 01 24	18 34	18 35	18 36	79
11	კვ	5 28	5 27	5 26	12 01 08	18 35	18 36	18 38	78
12	ორ	5 26	5 25	5 24	12 00 52	18 36	18 37	18 39	78
13	სმ	5 25	5 24	5 22	12 00 37	18 37	18 38	18 40	77
14	ოთ	5 23	5 22	5 21	12 00 22	18 38	18 40	18 41	77
15	ხთ	5 22	5 21	5 19	12 00 07	18 39	18 41	18 42	76
16	პრ	5 20	5 19	5 18	11 59 52	18 40	18 42	18 44	76
17	შბ	5 18	5 17	5 16	11 59 38	18 42	18 43	18 45	75
18	კვ	5 17	5 16	5 14	11 59 24	18 43	18 44	18 46	75
19	ორ	5 16	5 14	5 12	11 59 11	18 44	18 46	18 47	74
20	სმ	5 14	5 13	5 11	11 58 58	18 45	18 47	18 48	74
21	ოთ	5 12	5 11	5 09	11 58 46	18 46	18 48	18 50	73
22	ხთ	5 11	5 09	5 08	11 58 34	18 47	18 49	18 51	73
23	პრ	5 10	5 08	5 06	11 58 22	18 48	18 50	18 52	72
24	შბ	5 08	5 06	5 04	11 58 11	18 49	18 51	18 53	72
25	კვ	5 06	5 05	5 03	11 58 00	18 50	18 52	18 54	72
26	ორ	5 05	5 03	5 02	11 57 50	18 51	18 53	18 55	71
27	სმ	5 04	5 02	5 00	11 57 40	18 52	18 54	18 56	71
28	ოთ	5 02	5 00	4 58	11 57 30	18 53	18 55	18 57	70
ჯგუფმა გამოყო 40-მდე შესაძლო დარტყმითი კრატერი აროკოთზე. აქედან ათამდე – მაღალი დამაჯერებლობისა. ზემონახსენებ უდიდეს, 7 კმ-იან კრატერს მერილენდი უწოდეს. მცირეზომიან კრატერთა სიხშირული განაწილება წრფივია. კრატერთა კონცენტრაცია ჩამოუვარდება სხვა მცირე ზომის სხეულთა კრატერებისას, მაგრამ მაინც მეტყველებს 4 მილიარდზე მეტი წლის ასაკზე. არაა ნაპოვნი აროკოთის თანამგზავრები ან რგოლები; შესაძლო თანამგზავრთა (მთვარეების) დიამეტრთა ზედა ზღვარი 180 მ-ია აროკოთიდან 8000 კმ-რადიუსიანი სფეროს გარეთ.

ჯგუფი ასკვნის, რომ აროკოთის ზედაპირის სუსტი კრატერიანობა მიუთითებს მის წარმოშობაზე პლანეტათა აკრეციის უძველეს პერიოდშივე, მისი მახასიათებლები კი ტიპურია კოიპერის სარტყლის სხვა ცივი კლასიკური ობიექტებისთვის. ამიტომ აროკოთი გამოდგება ამ ჯგუფის ზოგადი ბუნების გასაშიფრად.

აი ასეთი შთამბეჭდავია მეცნიერების წინსვლა. 2000-კმ-იანი პლუტონი აღმოუჩენელი რჩებოდა ტელესკოპების შექმნიდან სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ახლა კი, კოსმონავტიკური ექსპერიმენტის გამოყენებით დაწვრილებითი ფიზიკურ-გეოლოგიური მონაცემებია მოპოვებული პლუტონზე 100-ჯერ უფრო მცირე ზომის და ამასთან მზის სისტემის გარე, შორეულ უბანში მყოფი წარმონაქმნის შესახებ. ოღონდ დ. ჯიუიტი აღნიშნავს, რომ ამ ექსპერიმენტის დაგეგმვიდან კოსმოსური ხომალდის გაშვებამდე 10 წელმა გაიარა, და კიდევ ამდენივე დასჭირდა კოიპერის სარტყელში მის მოძრაობას, პლუტონისა და აროკოთის შესახებ ძვირფასი მონაცემები კი მან ამ სხეულებთან ჩაფრენის სულ რამდენიმედღიან დროის შუალედებში მოიპოვა. ანუ კვლევის ეს გზა ნაკლებეფექტურიაო. მომავალში უფრო მიზანშეწონილი იქნება გავგზავნოთ კოსმოსური ხომალდი კოიპერის სარტყელში და დავტოვოთ მასში ამ სარტყლის დიდი ზომის ობიექტთა გრავიტაციის გამოყენებით. მაგალითად, თუ ხომალდი გავა ჯუჯა პლანეტების პლუტონის ან ერისის იგვლივ მოძრაობის ორბიტაზე, შევძლებთ ხანგრძლივი დაკვირვებით ამ ობიექტთა დაწვრილებითი გეოლოგიური მონაცემების მოპოვებას. კიდევ ერთი გზა – ,,მოხტუნავე“ ხომალდია, რომელიც კოიპერის სარტყელში მისვლის შემდეგ თანმიმდევრულად გადაინაცვლებდა ამ სარტყლის ერთი ობიექტიდან მეორე ობიექტამდე საკუთარი იონური ძრავას გამოყენებით, და რიგრიგობით გამოიკვლევდა მზის

სისტემის ამ არეში მოძრავ მრავალ სხეულს (ანალოგიური მისია უკვე შეასრულა ნასას ერთ-ერთმა ხომალდმა, რომელმაც საკუთარი ძრავას მეშვეობით გაიარა გზა კლასიკური ასტეროიდული სარტყლის უდიდესი ობიექტიდან – ცერერადან ამავე სარტყლის ზომით მეორე ასტეროიდ ვესტამდე). კვლევის ამგვარი სტრატეგია, მეცნიერის აზრით, გაცილებით პროდუქტიული იქნება.

2. ბნელი მატერია სამყაროში და გალაქტიკათა სპექტრში უცნობი რენტგენული გამოსხივების ხაზის ინტერპრეტაციის პრობლემა.

1. ცნობილია, რომ ნებისმიერი ვარსკვლავის, მათ შორის ჩვენი მზის გამოსხივება სხვადასხვა ტალღის სიგრძის (λ) ანუ სხვადასხვა ფერის მონოქრომატული გამოსხივებების ჯამს წარმოადგენს. დამკვირვებლამდე მოღწეული სინათლის I სრული ინტენსიურობა I_λ სიდიდეთა (ნაწილობრივი ინტენსიურობები თითოეული λ ტალღის სიგრძის მომცველ ერთეულოვან ინტერვალებში) ინტეგრალური ჯამია. I_λ ფუნქციის გრაფიკს ვარსკვლავის გამოსხივების სპექტრი ეწოდება. იგი მიიღება მაშინ, როდესაც ვარსკვლავის გამოსხივება გაივლის სამკუთხა პრიზმაში, გარდატყდება და შეიცვლის მიმართულებას (მით უფრო მეტად, რაც უფრო მოკლეა სინათლის ტალღის სიგრძე), ასე რომ პრიზმიდან გამოსვლისას დაიშლება სხვადასხვა ფერის (ანუ სხვადასხვა ტალღის სიგრძის მქონე) მდგენელებად. თუ ვარსკვლავის გამოსხივება ტელესკოპის ფოკალურ სიბრტყეში მოთავსებულ ფოტოფირფიტაზე წრიული ფორმის თითქმის წერტილოვან გამოსახულებას ქმნის, პრიზმით დაშლილი გამოსხივება ტელესკოპში შესვლისას უკვე ზოლურ გამოსახულებას გვაძლევს, რომლის ერთი ბოლო ყველაზე გრძელ ტალღებს შეესაბამება, მეორე ბოლო – ყველაზე მოკლე ტალღებს, ზოლის თითოეული კონკრეტული „მონაკვეთი“ კი სრულიად განსაზღვრული ტალღის სიგრძის გამოსხივებას.

სპეციალური ხელსაწყოები (სპექტროგრაფები) ზომავენ ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე ვარსკვლავის სპექტრული ზოლის თითოეულ წერტილში ფირფიტის სიშავეს. ეს უკანასკნელი ორგანზომილებიან საკოორდინატო სისტემაში გამოისახება მრუდით, რომელსაც ვარსკვლავის სპექტრს უწოდებენ. სპექტრი არსებითად I_λ ფუნქციის სახეა. ვარსკვლავის გარე ფენაში – ფოტოსფეროში ლოკალური თერმოდინამიკური წონასწორობა რომ არსებობდეს, ანუ ყოველ 1 სმ^3 მოცულობაში 1 წმ-ში მომხდარი თითოეული სახის მიკროსკოპული პროცესების რაოდენობა ზუსტად ემთხვეოდეს ამავე მოცულობაში და ამავე დროის განმავლობაში მომხდარ საპირისპირო

სახის პროცესთა რიცხვს, მაშინ ფოტოსფეროს გამოსხივების სპექტრი ე.წ. პლანკის ფუნქციით აღიწერებოდა: $I_\nu=\frac{2h\nu^3}{c^2}\frac{1}{e^{\frac{h\nu}{KT}}-1}$. აქ ν გამოსხივების სიხშირეა, დაკავშირებული გამოსხივების λ ტალღის სიგრძესთან $\nu=c/\lambda$ ფორმულით, c სინათლის სიჩქარე, T- ტემპერატურა ვარსკვლავის ფოტოსფეროში, h – პლანკის, k კი ბოლცმანის მუდმივა. ამ ფუნქციის გრაფიკული ნახაზი (სიხშირისა და ინტენსიურობის ღერძებში) ამოზნექილი მრუდით გამოისახება, რომელიც $\nu=0$ და $\nu=\infty$ არეებში აბსცისათა ღერძისკენ მიისწრაფის, მისი მაქსიმუმის შესაბამისი აბსცისა კი (ანუ ν_0 სიხშირე) პირდაპირპროპორციულია ვარსკვლავის T ტემპერატურისა. ეს ნიშნავს, რომ გამოსხივების ინტენსიურობა მაქსიმალურია გარკვეულ ν_0 სიხშირეზე და მიისწრაფის 0-ისკენ, როცა ν_0 უსასრულოდ მცირდება ან უსასრულოდ იზრდება. თვით ν_0 იზრდება T-ს ზრდისას. აქედან გამომდინარეობს, რომ 6 000°C ტემპერატურაზე (მზის ტიპის ვარსკვლავთა ფოტოსფერო) გამოსხივების მაქსიმუმი ყვითელ სხივთა არეშია (ამიტომ გვეჩვენება მზე ყვითელ ვარსკვლავად, თუმცა იგი უკლებლივ ყველა ფერის სინათლეს ასხივებს), გაცილებით ცხელ ვარსკვლავთა გამოსხივების მაქსიმუმი – იისფერ უბანში, მზეზე გაცილებით ცივი ვარსკვლავებისა კი – წითელ უბანში.

2. ჩვენ აღვწერეთ სიტუაცია ფოტოსფეროს შიგნით. რაც შეეხება მზიდან გარეთ გამოსული (და დამკვირვებლამდე მოღწეული) გამოსხივების ინტენსიურობას, მის შექმნაში ფოტოსფეროს ყველა ფენა მონაწილეობს, თუმცა სხვადასხვანაირი ეფექტურობით. ამასთან, ვარსკვლავის გარე ფენაში ტემპერატურა იზრდება ვარსკვლავის ზედაპირიდან მისივე ცენტრის მიმართულებით, ანუ სიღრმისკენ. საბოლოო ჯამში, მზიდან გამომავალი გამოსხივების სპექტრი განსხვავდება პლანკის გამოსხივების ზემოთ დახასიათებული სპექტრისგან, თუმცა გარეგნულ მსგავსებასაც ინარჩუნებს – გამოისახება ისევ ამოზნექილი მრუდით, ოღონდ ეს მრუდი დასერილია უამრავი ,,ჩავარდნებით“, რომელთაც შთანთქმის ხაზები ჰქვიათ. თითოეული შთანთქმის ხაზი რომელიმე კონკრეტულ ქიმიურ ნივთიერებას ეკუთვნის, ამასთან წარმოიშობა ამ ნივთიერების ატომის გადასვლისას მისი რომელიმე ენერგეტიკული დონიდან მისსავე რომელიმე სხვა, უფრო მაღალი ენერგიის მქონე ენერგეტიკულ დონეზე. ასეთ გადასვლებს იწვევს ამ ატომის მიერ გარკვეული hν ენერგიის მქონე ფოტონის შთანთქმა (აქ h პლანკის მუდმივაა). ამიტომ საბოლოო ჯამში გამომავალ გამოსხივებაში წარმოიქმნება ν სიხშირის ფოტონთა დეფიციტი ანუ ჩავარდნა გამოსხივების მრუდზე (მზის უფრო გარეთა ფენებს – ქრომოსფეროსა და კორონას, ასევე ზოგ სპეციფიკურ ვარსკვლავს გამოსხივების სპექტრული ხაზები ახასიათებს, რომლებშიც გამოსხივების ენერგია აღემატება მიმდებარე უბნის ანუ უწყვეტი სპექტრის გამოსხივებას). კონკრეტული დონიდან მის ზემოთ განლაგებულ დონეებზე გადასვლები იწვევენ შთანთქმის

ხაზთა მთელი სერიის წარმოშობას. მაგალითად, მზის (და უმეტეს სხვა ვარსკვლავთა) შემადგენელი ყველაზე უხვი ელემენტის – წყალბადის დონეთაშორისი გადასვლები ქმნიან ლაიმანის (პირველი დონიდან მეორე, მესამე და ა.შ დონეებზე გადასვლები; ულტრაიისფერი უბანი), ბალმერის (გადასვლები მეორე დონიდან მესამე, მეოთხე და ა.შ დონეებზე, ხილული უბანი), პაშენის (გადასვლები მესამე დონიდან სხვა, უფრო მაღალ დონეებზე, ინფრაწითელი უბანი) და ა.შ. სერიებს. თითოეული სერიის ხაზები ტალღის სიგრძის ღერძზე თანდათანობით ერთმანეთს უახლოვდებიან და მიისწრაფიან ე.წ. სერიის ზღვრისკენ. მზის სპექტრში მრავალი ელემენტის სპექტრული ხაზებია – წყალბადს გარდა ჰელიუმის, კალციუმის, ჟანგბადის, რკინის და ა.შ.

3. სპექტრული ხაზების ფორმა და ინტენსიურობა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ვარსკვლავის ქიმიური შედგენილობა, ტემპერატურა და მისი ცვლილება სიღრმეზე, სიმკვრივე, წნევა, ვარსკვლავის მოძრაობის სხივური სიჩქარე, ვარსკვლავის ბრუნვა, ორმაგობა და სხვა პარამეტრები, რაც ხდება პრაქტიკული და თეორიული ასტროფიზიკის მეთოდების გამოყენებით.

ვარსკვლავთა რაიმე სისტემის (ვარსკვლავთა გროვები, გალაქტიკები) საერთო გამოსხივების სპექტრი კი ფორმირდება ამ სისტემის ვარსკვლავთა ინდივიდუალური სპექტრების შეჯამებით.

თუ რომელიმე ციური სხეულის გამოსხივება დამკვირვებელთან მოსვლამდე გამოივლის რომელიმე შუალედურ გაზობრივ ობიექტში, მის სპექტრში გამოჩნდება სათანადო შთანთქმის ხაზები, რომლებითაც შეიძლება განისაზღვროს ამ შუალედური ობიექტის ფიზიკური მახასიათებლები. დამატებითი სპექტრული ხაზები წარმოიქმნება აგრეთვე მნათობთა გამოსხივების გამოვლით დედამიწის ატმოსფეროშიც, რაც ამ უკანასკნელის პარამეტრთა განსაზღვრის შესაძლებლობასაც იძლევა.

ანალოგიური (და გაცილებით რთული) სპექტრები ახასიათებს მნათობებისა და ვარსკვლავთშორისი ნივთიერების მოლეკულებს.

4. XX ს-ის შუახანებიდან კოსმოსური ტექნიკის საშუალებით შესაძლებელი გახდა დაგვეფიქსირებინა ციურ სხეულთა სპექტრები ტალღის სიგრძეთა სხვა – ულტრაიისფერ და ინფრაწითელ დიაპაზონებშიც. ამას გარდა, რამდენიმე ათწლეულით ადრე და კოსმონავტიკისგან სრულიად დამოუკიდებლად, წარმოიშვა რადიოასტრონომიაც (კოსმოსში არსებული აუარებელი ობიექტის რადიოგამოსხივების ფიქსირება შესაძლებელია დედამიწაზე განლაგებული რადიოტელესკოპებითაც, რადგან ტალღის სიგრძეთა ამ უბანში დედამიწის ატმოსფერო გამჭვირვალეა). ბოლოს კოსმოსურმა (ატმოსფეროს გარეთ მოძრავმა) რენტგენულ და გამა სხივთა შემსწავლელმა თანამგზავრებმა აღმოაჩინეს უამრავი ციური სხეული

(ცალკეული ვარსკვლავები, გალაქტიკები, სპეციფიკური ობიექტები), რომლებიც ყველაზე მოკლე ელექტრომაგნიტურ ტალღებს ასხივებენ. ასე, რომ ჩვენ ვიმყოფებით ე.წ. ყველატალღოვანი ასტრონომიის ეპოქაში, როცა ერთი და იმავე ციური ობიექტის შესწავლა ხშირად ჩამოთვლილ, ურთიერთგანსხვავებულ დიაპაზონებში მოქმედი ასტრონომიული ხესაწყოების შესაძლებლობათა კომბინირებით ხდება.

5. თეორიული ფიზიკა იძლევა სხვადასხვა ნივთიერებათა სპექტრული ხაზების, ასევე ხაზთა სერიებისა თუ ზოლების (ამ უკანასკნელებში სპექტრულ ხაზთა სერიების ზედდება ხდება) ტალღის სიგრძეების ზუსტ ჩამონათვალს. მაგრამ ციურ სხეულთა თუ მათი სისტემების მოძრაობა ან მათი ურთიერთქმედება ხშირად საგრძნობლად ამახინჯებს ჩამოთვლილ სპექტრულ სისტემებს. სხვადასხვა სიჩქარით მოძრავ ვარსკვლავთა სპექტრები სხვადასხვაგვარად დეფორმირდება. ამას გარდა, ერთსა და იმავე სპექტრულ ინტერვალში შეიძლება ხვდებოდეს სულ სხვადასხვანაირ მოლეკულათა სპექტრული ხაზები თუ სერიები. ციურ სხეულთა დანაკვირვებ სპექტრებში გვხვდება ისეთი მოლეკულური ზოლებიც, რომელთა წარმომქმნელ ქიმიურ ნაერთთა ამოცნობა ათწლეულობით ვერ ხერხდება. ნიმუშად კვაზართა სპექტრებიც კმარა, რომლებიც დედამიწაზე ცნობილ არცერთ ნივთიერებას არ შეესაბამებოდნენ, მერე კი გამოირკვა, რომ ისინი კარგად ცნობილ ელემენტებს ეკუთვნიან, ოღონდ კვაზართა დიდი სივრცული სიჩქარეებით არიან დამახინჯებულნი. ასევე პლანეტური ნისლეულების ზოგი გაუშიფრავი ხაზი თურმე ცნობილ ნივთიერებათა (მაგალითად, ორჯერ იონიზებული ჟანგბადის ატომთა) ე.წ. აკრძალული გადასვლების შედეგია.

6. ახლა კი მოგითხრობთ ერთი ამგვარი გაუშიფრავი სპექტრული ხაზის შესახებ, რომლის წარმოქმნა შესაძლოა ე.წ. ბნელი მატერიის არსებობით აიხსნებოდეს. საერთოდ უხილავი ნივთიერების შესაძლო არსებობის პრობლემა თანმიმდევრულად გამოიკვეთა ბოლო ათწლეულების ასტრონომიულ კვლევებში. მაგალითად, დიდი ხანია ცნობილია, რომ ელიფსური გალაქტიკების შემადგენელი ნივთიერების ნაწილი ($\frac{3}{4}$-მდე) ელექტრომაგნიტურ ტალღებს არ ასხივებს, ისევე როგორც გალაქტიკათა გარემომცველი ვრცელი გარსები (ჰალოები). არაგამომსხივარი მატერია დაუკავშირდა მეტაგალაქტიკის საერთო გაფართოებასაც, რომელიც სლაიფერისა და ჰაბლის შრომებიდან გამოიკვეთა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან. თავიდან ფიქრობდნენ, რომ 14 მლრდ წლის წინათ დაწყებული ეს გაფართოება თანდათან უნდა ნელდებოდეს მეტაგალაქტიკის შემადგენელი მატერიის ერთობლივი გრავიტაციული მიზიდულობით, ბოლო ათწლეულებში კი გამოირკვა, რომ იგი, პირიქით, აჩქარებულია. ასტრონომებმა ეს ფაქტი ახსნეს ე.წ. ბნელი

ნივთიერების სავარაუდო არსებობით, რომელიც შესაძლოა სამყაროს მთელი მატერიის 80%-მდე შეადგენდეს. ამ მატერიის თვისებათა დადგენა თანამედროვე კოსმოლოგიის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

7. უხილავი მატერიის სხვადასხვა გამოვლინებანი სხვადასხვა ხარისხის მტკიცებულებას ფლობენ. მაგალითად, ზოგ გალაქტიკაში არაგამომსხივარი მატერიის არსებობა საკმაოდ ლოგიკურად მტკიცდება. საქმე იმაშია, რომ ამა თუ იმ გალაქტიკის მასა ორი გზით შეიძლება გაიზომოს: პირველი – გალაქტიკის ნათების ძალით, და მეორე – მისი შემადგენელი ობიექტების წრიული გარემოქცევის სიჩქარით ამ გალაქტიკის ბრუნვის პროცესში. პირველ შემთხვევაში ვიყენებთ ე.წ. მასა-ნათობის ემპირიულ კანონს, რომლის თანახმად ვარსკვლავის გამოსხივების ძალა მისი მასის გარკვეული ხარისხის ზრდადი ფუნქციაა და ამიტომ იარსებებს კავშირი ვარსკვლავთა სისტემის ნათობასა და მასას შორისაც. მეორე შემთხვევაში, თუ მიახლოებით ჩავთვლით, რომ რომელიმე გალაქტიკის მასის უმეტესი ნაწილი მის ბირთვშია თავმოყრილი, ამ გალაქტიკის ბრუნვისას მასში შემავალი თითოეული ვარსკვლავის სიჩქარე მიახლოებით კეპლერის კანონებით უნდა გამოისახებოდეს. კეპლერის მესამე კანონის თანახმად კი ორი ნებისმიერი სხეულის იზოლირებულ სისტემაში ერთ-ერთის გარემოქცევის a დიდი ნახევარღერძის კუბის შეფარდება გარემოქცევის T პერიოდის კვადრატისა და გარემომქცევ სხეულთა მასების (M+m) ჯამის ნამრავლთან, ანუ $a^3/(T^2(M+m))$ ერთი და იგივეა სამყაროში არსებული ყველა ურთიერთგარემომქცევი სხეულის წყვილისთვის, კერძოდ ისეთივე, როგორიც მზის ირგვლივ დედამიწის გარემოქცევის შემთხვევაშია. დროის, მასისა და მანძილის ერთეულებად შესაბამისად წელიწადის, მზის მასისა და მზე-დედამიწის საშუალო ურთიერთდაშორების შერჩევის შემთხვევაში ვიღებთ ფორმულას: $a^3/(T^2(M+m))=1$. რადგან ვარსკვლავის m მასა განუზომლად მცირეა გალაქტიკის M მასასთან შედარებით, მას უგულებელვყოფთ ჯამში, და დაგვრჩება: $M= a^3/T^2$. ამ ფორმულაში a არის ვარსკვლავიდან გალაქტიკის ცენტრამდე მანძილი და მას მარტივად ვიპოვით იმ სამკუთხედის ამოხსნით, რომლის წვეროებში არიან დამკვირვებელი, ვარსკვლავი და გალაქტიკის ცენტრი (დედამიწიდან გალაქტიკის ცენტრამდე მანძილი დამოუკიდებელი ასტრონომიული მეთოდებით ისაზღვრება, ვარსკვლავიდან გალაქტიკის ცენტრამდე კუთხური მანძილი კი – უშუალო დაკვირვებით). T-ზე წარმოდგენას გვაძლევს ვარსკვლავის სხივური სიჩქარე, რის შემდეგ ფორმულიდან განვსაზღვრავთ გალაქტიკის M მასას. ამ გზით მიღებულ მნიშვნელობას შეგვიძლია გალაქტიკის დინამიკური მასა ვუწოდოთ, პირველი მეთოდით განსაზღვრულს კი – გალაქტიკის ,,მანათობელი მასა“ (პრაქტიკაში აღწერილ მეთოდს უფრო ხშირად ასტრონომები ორმაგი, ურთიერთგარემომქცევი გალაქტიკებისთვის იყენებენ).

რასაკვირველია, გალაქტიკის მთელი მატერია თვითმნათი რომ ყოფილიყო, ორივე გზით გამოთვლილი გალაქტიკის მასები ერთმანეთის ტოლები აღმოჩნდებოდა. ხოლო რადგან ხშირ შემთხვევაში გალაქტიკების ,,მანათობელი“ მასა რამდენჯერმე ნაკლებია მათ ,,დინამიკურ“ მასაზე, ვასკვნით, რომ გალაქტიკის მასის უმეტესი ნაწილი არამნათია. შემდეგ უკვე საძიებელი ხდება ამ არამნათი მატერიის ბუნება. გალაქტიკებისთვის მას შავი ხვრელების არსებობას უკავშირებენ.

8. სხვა სიტუაციაა მეტაგალაქტიკის გაფართოების კანონთან დაკავშირებით. ,,სამყაროში“ მხოლოდ ,,ჩვეულებრივი“ მატერია რომ არსებობდეს, რომელსაც გრავიტაციული მიზიდულობა ახასიათებს, მაშინ მეტაგალაქტიკის სრულ მასასა და მისით განპირობებულ ნივთიერების საშუალო სიმკვრივეზე იქნებოდა დამოკიდებული, შეაჩერებდა თუ არა გალაქტიკების ურთიერთმიზიდულობა მეტაგალაქტიკის გაფართოებას. გამოთვლილიცაა ის ,,კრიზისული სიმკვრივეც“ ნივთიერებისა, რომელზე ნაკლები სიმკვრივე ,,სამყაროს“ ღია (მუდმივად გაფართოებად) მოდელს განაპირობებს, მასზე მეტი კი – ჩაკეტილ მოდელს (ამ უკანასკნელში გაფართოება ნელდება, ბოლოს ჩერდება, შემდეგ კი მეტაგალაქტიკის კუმშვის, მისი მოცულობის უწყვეტი შემცირების, ხოლო სიმკვრივისა და ტემპერატურის უწყვეტივე ზრდის შედეგად ოდესმე განმეორდება ზემკვრივი და ზეცხელი სინგულარული მდგომარეობა). აი, ასეთი მსჯელობების ფარგლებში განვითარდა მოსაზრებანი, რომ თუ სამყაროში არსებობს არამნათი, უხილავი, აქამდე უცნობი მატერია, რომლის სრული მასა რამდენიმე ათეულჯერ აღემატება ,,სამყაროს“ აქამდე ცნობილი, ხილვადი მატერიის მასას, მეტაგალაქტიკის საერთო სიმკვრივე უკვე გადააჭარბებს კრიზისულ სიმკვრივეს (ეს უკანასკნელი დაახლოებით 2.10^{-29} გ/სმ^3-ის ტოლია) და სამყაროს ჩაკეტილ მოდელს მივიღებთ. არამნათი მატერიის ერთ-ერთ წყაროდ კი რელიქტური, ანუ დიდი აფეთქების დროინდელი ნეიტრინოები მიაჩნდათ, რომელთაც შესაძლოა უძრაობის მასა ჰქონდეთ.

9. მეტაგალაქტიკის გაფართოების აჩქარებულობის აღმოჩენამ კი სხვა მხრიდან შეახედა ასტრონომები უხილავი, ,,ბნელი“ მატერიის არსებობის საკითხისათვის. ასეთი მატერია უნდა არსებობდეს, ოღონდ მას უნდა ჰქონდეს არა გრავიტაციული მიზიდულობის, არამედ განზიდულობის თვისება. მაშინ იგი კი არ შეანელებს გალაქტიკების ურთიერთდაშორების მოვლენას, არამედ, პირიქით, ააჩქარებს მას. დაკვირვებითი პარამეტრები ამ ,,ბნელი“ მატერიის რაოდენობასაც აკონკრეტებს – მასით იგი 4-ჯერ მაინც სჭარბობს ,,ჩვეულებრივი“, გრავიტაციული მიზიდულობის უნარის მქონე მატერიას. ამასთან

დაკავშირებით შეუძლებელია არ გახსენებოდათ, რომ სამყაროს ევოლუციის აღმწერი გრავიტაციული ველის განტოლებებში ა. აინშტაინს თავდაპირველად დამატებითი Λ წევრი ჰქონდა შემოტანილი, რომელსაც გრავიტაციის კომპენსირება უნდა მოეხდინა, რათა სამყარო ,,სტაციონარული“ ყოფილიყო და არა კუმშვადი (როგორც თუნდაც რუსი მეცნიერის, ა.ფრიდმანის თეორიული მსჯელობა მიუთითებდა). შემდგომში აინშტაინმა ეს წევრი უკუაგდო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება ყოფილა.

10.ზემოჩამოთვლილ გარემოებათა საბოლოო ურთიერთმიმართებები არასაკმაოდაა გამოკვლეული როგორც თეორიულად, ისე დაკვირვებითი ასპექტით, ამიტომ აქ შევჩერდები. წერილის დასკვნით ნაწილში კი დავუბრუნდები ზევით ნახსენებ გაუშიფრავ სპექტრულ ხაზს, რომელსაც მიეძღვნა ნაშრომი ,,3,5 კევ ხაზის ბნელი მატერიით ინტერპრეტირება შეუთავსებელია ცარიელი ცის დაკვირვებებთან“. ავტორებმა (ამერიკელი მეცნიერები ქ. დეზერტი, ნ. ლ. როდი და ბ. რ. საფდი) იგი გამოაქვეყნეს ჟურნალ ,,Science“-ის 2020 წლის 27 მარტის ნომერში (v. 367, issue 6485, p. 1465).

ამ ხაზის ფოტონთა ენერგია რამდენიმე ათასჯერ აღემატება ხილული ფოტონებისას, მათი ტალღის სიგრძე კი რამდენიმე ანგსტრემია. ეს რენტგენული უბანია. ხაზი ემისიურია, ე.ი. მის ფარგლებში გამოსხივების ინტენსიურობა მომატებულია ხაზის მიმდებარე უწყვეტი სპექტრის ინტენსიურობასთან შედარებით.

ეს ხაზი ჩვენს გალაქტიკასთან ახლომდებარე გალაქტიკების გროვათა სპექტრებში აღმოაჩინეს ე. ბულბულმა (E. Bulbul) და სხვ. (Ap. J., v. 789, 13 (2014 წ.)), მათგან დამოუკიდებლად კი ა. ბოიარსკიმ და სხვ. (Phis. Rev. Lett., v. 133 (2014)). მისი წარმოშობის ახსნის ცდისას კი ყურადღება მიაპყრეს სწორედ ბნელ მატერიას. ამ უკანასკნელის მიკროსკოპული ბუნება ჯერ უცნობია. თუ იგი ისეთი ნაწილაკებისგან შედგება, რომლებიც ჩვეულებრივ მატერიად შეიძლება დაიშალონ, მაშინ ამ დაშლის პროცესში წარმოიქმნებიან მაღალენერგიიანი ფოტონები, რომელთა ფიქსირება რენტგენულ ტელესკოპებს შეუძლიათ. ავტორები მიუთითებენ პ. პალისა და ლ. ვოლფენშტაინის ნაშრომზე (Phis. Rev., D 25, 766-773, 1982), რომელშიც ნაჩვენებია, რომ ბნელი მატერიის ზოგ, მაგ., სტერილურ ნეიტრინოებიან მოდელს შეუძლია რენტგენული ემისიური ხაზების წარმოქმნა. მეორე მხრივ, თუ არსებობენ რამდენიმე კევ ენერგიის მქონე სტერილური ნეიტრინოები, მათ შეუძლიათ ბნელი მატერიის „დანაკვირვები“ (ანუ მეტაგალაქტიკის გაფართოების აჩქარების უნარის მქონე) რაოდენობა ახსნან. ზემონახსენები 3,5 კევ რენტგენული ხაზის აღმოჩენა ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც შედეგი ბნელი მატერიის დაშლისა (K. N. Abasajian, Phys. Rev., v. 711-712, 1-28 (2017). წამოაყენეს უფრო

,,პროზაული“ ახსნებიც: გალაქტიკების გროვებში არსებული ცხელი აირის მიერ პოტასიუმისა და არგონის ხაზთა გამოსხივება და გროვის შიდა პლაზმასა და აირის ცივ ღრუბლებს შორის მუხტგაცვლის ხაზების წარმოქმნა.

ავტორები იუწყებიან, რომ 3,5 კევ ხაზის არსებობა დაადასტურეს სხვა მკვლევრებმაც. მათშია ბულბულის ზემონახსენები შრომა და ო. ურბანისა და სხვ. (Mon.Not. R. Astron. Soc., ტ. 451, 2447-2461 (2415)) დაკვირვებანი გალაქტიკათა პერსევსის გროვაზე, ჩვენი გალაქტიკის ცენტრის დაკვირვებები ბოიარსკის და სხვ. მიერ (იხ. ზემოთ) XMM-Newton-ით (რენტგენულ სხივთა მრავალსარკიანი მისია), და ჩვენი გალაქტიკის დიფუზური გამოსხივების ჰალოს დაკვირვებანი მისია Chandra-თი: ნ. კაპელუტი და სხვ. (Ap. J; v. 854, 179 (2018 წ.)). ასევე 2014-2017 წლებში რამდენიმე კვლევამ აღნიშული ხაზის ძიების უარყოფითი შედეგიც დააფიქსირა (ავტორთა აზრით, ბნელი მატერიის ჰიპოთეზა თავსებადია ორივე შედეგთან).

ავტორებმა გამოიყენეს XMM-Newton-ის დაკვირვებების მონაცემები, რომლებიც ,,ცარიელი“ ცის ნათებას შეესაბამება რენტგენულ უბანში. ამაში იგულისხმება დაკვირვებანი მძლავრი რენტგენული წყაროებიდან დაშორებულ ცის უბნებში. დამზერითი მასალა მოიცავს 30 მეგაწამის ხანგრძლივობის სრულ საექსპოზიციო დროს. შესწავლის ობიექტია 3,5 კევ ხაზი, რომლის წარმოქმნაში შეიძლება მონაწილეობდეს ბნელი მატერიის დაშლა გალაქტიკის ყოველ წერტილში. დაკვირვების მონაცემები დამუშავებულია თეორიული ფიზიკისა და მათემატიკის მეთოდების გამოყენებით. მიჩნეულია, რომ ცის მოცემული არედან მოსულ რენტგენულ ფოტონთა რაოდენობა პირდაპირპროპორციულია ბნელი მატერიის დაშლის წილისა და მხედველობის სხივის გასწვრივ აღებულ ერთეულგანივკვეთიან მთლიან სვეტში მყოფი ბნელი მატერიის M რაოდენობის ნამრავლისა, M კი წარმოიდგინება $\int ds\rho_{ბმ}(s)ds$ ინტეგრალით, სადაც s ხაზოვანი მანძილია, ρ კი ბნელი მატერიის სიმკვრივე s წერტილში. მაგ., M-ის საშუალო მნიშვნელობა პერსევსის გროვისთვის არის 3.10^{28} კევ. სმ$^{-2}$, ანუ დაახლ. იგივე, რაც ცარიელი ცის (გალაქტიკის ჰალოს) შემთხვევაში, გალაქტიკის ცენტრიდან 45° მანძილზე.

ავერიდები დაწვრილებით განხილვას. მთავარი დასკვნა კი ასეთია: დიდი მოცულობის დამზერითი მასალის გამოკვლევის შედეგად ავტორებმა ვერ იპოვეს რაიმე მინიშნება ირმის ნახტომის ჰალოს მიერ 3,5 კევ სპექტრული ხაზის გამოსხივებისა. ანუ გალაქტიკათა ზოგიერთი გროვის სპექტრში ამ ხაზის წარმოქმნის მიზეზი ბნელი მატერიის დაშლა არაა (კერძოდ, 7 კევ მასიანი სტერილური ნეიტრინოებისა) – წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩვენი გალაქტიკის ჰალოს ბნელი მატერიაც გამოასხივებდა.

ავტორებმა, დაკვირვების მონაცემთა დამუშავებით, დაადგინეს ჩვენს გალაქტიკაში არსებული ბნელი მატერიის დაშლის წილის („სიჩქარის“) ზედა ზღვარი. მიღებული სიდიდე, მათი აზრით, შეუთავსებელია 3,5 კევ რენტგენული ემისიური ხაზის ახსნასთან გალაქტიკებში არსებული ბნელი მატერიის დაშლით. ეს შედეგი მნიშვნელოვანია ბნელი მატერიის ჰიპოთეზის შემოწმების გზაზე.

ასტროპოლარიმეტრია და პოლარიმეტრიული კვლევები აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში

თ. კვერნაძე, გ. ქურხული

ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა საბუნებისმეტყველო დარგებისგან განსხვავებით, რომელთა კვლევის ობიექტები დედამიწაზე მყოფი „ხელშესახები" საგნები და მოვლენებია, ასტრონომიული სხეულები უკიდეგანო სამყაროს ზეციურ მნათობებს წარმოადგენენ. სინათლის სხივი, რომლის სიჩქარეც ვაკუუმში წამში 300 000 კილომეტრია, დედამიწასთან ყველაზე მახლობელი ვარსკვლავიდან – მზიდან მოსვლას, დაახლოებით 8 წუთსა და 20 წამს ანდომებს; აღარაფერს ვამბობთ შორეულ მნათობებზე, ნისლეულებსა და გალაქტიკებზე, სადაც მანძილი ასობით, ათასობით, მილიონობით და მილიარდობით სინათლის წელს აღწევს.

ასეთ შემთხვევაში ასტრონომების ერთადერთ „ხელშესახებ" გამოსაკვლევ საგანს ციური სხეულებიდან ჩვენამდე მოღწეული სინათლე წარმოადგენს.

სინათლე, თავისი ბუნებით, შეიცავს ინფორმაციას იმ ობიექტის შესახებ, საიდანაც გამოსხივდება; უფრო მეტიც, სხივი იმისდა მიხედვით იცვლის სახეს, თუ რა გარემოს გაივლის იგი, რაში განიბნევა, გარდატყდება და აირეკლება. ამგვარ ვითარებაში სინათლე, რიგ შემთხვევაში, იცვლის თავის სიკაშკაშეს, ფერს – სპექტრს, პოლარიზაციას და ა. შ. ციურ მნათობთა სინათლის აღნიშნულ ცვლილებებს ასტრონომიული კვლევის სხვადასხვა მეთოდი შეისწავლის, მაგალითად როგორიცაა – ფოტომეტრია, კოლორიმეტრია, სპექტრომეტრია და პოლარიმეტრია.

ე. ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, მისი დაარსების (1932) წლიდან დღემდე, აქტიურად მიმდინარეობს ციურ სხეულთა ყველა ზემოაღნიშნული მეთოდით დაკვირვება. წინამდებარე სტატიაში ცალკე შევეხებით და მეტ-ნაკლებად ვრცლად განვიხილავთ ასტრონომიულ პოლარიმეტრიულ დაკვირვებებს.

ასტროპოლარიმეტრია

პოლარიმეტრია არის ასტრონომიული დაკვირვებების და გაზომვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს ურთულესი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ გამომსხივებელი წყაროს შესახებ ისეთი ინფორმაცია, რომელსაც სხვა მეთოდებით – ფოტომეტრიით და სპექტროსკოპიით, ვერ მივიღებდით, კერძოდ – გავზომოთ მაგნიტური ველის სიმძლავრე ვარსკვლავებში,

მტვრის ნაწილაკების ზომა და ორიენტაცია ნისლეულებში და ვარსკვლავთშორის სივრცეში, დინამიური პროცესები გალაქტიკებსა, კვაზარებსა და ზოგიერთ ცვალებად ვარსკვლავებში, გამომსხივებელი პლაზმის ფიზიკური პარამეტრები – თავისუფალი ელექტრონების და იონების კონცენტრაცია, ტემპერატურა და მაგნიტური ველის ორიენტაცია, გამომსხივებელი გარემოს ასიმეტრიულობა მზის აქტიურ წარმონაქმნებსა და კორონაში. პოლარიმეტრია მნიშვნელოვან დამზერით მასალას იძლევა მთვარე-პლანეტების ზედაპირთა ბუნების, ფიზიკური მახასიათებლების შესახებ და სასარგებლოა ეგზოპლანეტების ძიებისას.

პირველი პოლარიმეტრიული დაკვირვება ასტრონომიაში ჩაატარა ფრანგმა მეცნიერმა არაგომ 1811 წელს. კვარცის ფირფიტისა და ვოლასტონის პრიზმის მეშვეობით მან აღმოაჩინა, რომ მთვარის ზედაპირიდან არეკლილი მზის სინათლე ისევე იყო პოლარიზებული, როგორც დედამიწაზე ჩვეულებრივი მინის ზედაპირიდან არეკვლისას არის ხოლმე. ამ დღიდან მოყოლებული არ დარჩენილა არცერთი ცნობილი ასტრონომიული ობიექტი, რომლის პოლარიმეტრიული შესწავლა არ განხორციელებულიყო.

ასტრონომიულ ობიექტებში გამოსხივების პოლარიზაციის წარმოქმნის ფიზიკური მექანიზმების განხილვისას ვხედავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში პოლარიზაციული პარამეტრები დამოკიდებულნი არიან გამოსხივების ტალღის სიგრძეზე, იქნება ეს სპექტრული დიაპაზონის ფართო თუ ვიწრო უბანი. ამდენად, სხვადასხვა ტალღის სიგრძეზე პოლარიმეტრიულ გაზომვებს ანუ სპექტროპოლარიმეტრიულ მეთოდს, ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციული დატვირთვა ენიჭება ასტრონომიულ ობიექტებში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესწავლისას.

ასტრონომიულ ობიექტებს შორის სრულიად განსხვავებული პოლარიზაციის მქონე გამოსხივება გვხვდება: თითქმის სრულად პოლარიზებული – კვაზარების, პულსარების, ამრეკლავი ნისლეულების და მაზერების შემთხვევაში და თითქმის არაპოლარიზებული – გალაქტიკების, სტაციონარული ვარსკვლავების, მზის და სხვა ობიექტების შემთხვევაში. თუმცა, სრულიად არაპოლარიზებული გამოსხივება სამყაროში პრაქტიკულად არ არსებობს.

ცხრილი 1. ასტრონომიული ობიექტები, რომელთა გამოსხივებაც არის პოლარიზებული, მათი სპექტრული დიაპაზონი და გამოსხივებული სინათლისთვის დამახასიათებელი პოლარიზაციის ხარისხი.

ობიექტის დასახელება	პოლარიზაციის ხარისხი, DOP (Degree Of Polarization)
რადიო დიაპაზონი	
კვაზარები პულსარები გალაქტიკები მაზერები კოსმოსური ფონური გამოსხივება	70% 80% 0,5% 100% 0,01%
ინფრაწითელი დიაპაზონი	
მტვრის ემისიური გამოსხივება კოსმოსური მტვრის გაბნევა	2% 75%
ოპტიკური დიაპაზონი	
პლანეტები კოსმოსური მტვრით გაბნევა ამრეკლავი ნისლეულები კიბორჩხალას ნისლეულის პულსარი	>20% 10% 60% 20%
ულტრაიისფერი დიაპაზონი	
კოსმოსური მტვრით გაბნევა	4%
რენტგენული გამოსხივება	
მზის ამოფრქვევები აკრეციული რენტგენული პულსარები აქტიური გალაქტიკების ბირთვები (AGN)	5% 80% 20%

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, გამოსხივების პოლარიზაციის ხარისხი მერყეობს 0.01%-დან თითქმის 100%-მდე. ამასთანავე, ზემომოყვანილი ობიექტები არიან როგორც წერტილოვანი, ასევე განფენილი, ხშირად საკმაოდ ფართო კუთხით. უმეტეს შემთხვევებში ამ ობიექტების პოლარიზაცია არის მუდმივი ან იცვლება დროში საკმაოდ ნელა, თუმცა ასევე არსებობს ზოგიერთი ასტრონომიული სხეული, რომელთა პოლარიზაცია სწრაფად ცვალებადია და ამ ცვლილებათა მახასიათებელი დრო შეიძლება იყოს წუთის ან წამის რიგის. ამდენად, თანამედროვე პოლარიმეტრების მიმართ ტექნიკური მოთხოვნები ძალზე მაღალია როგორც სიზუსტის და სამუშაო სპექტრული დიაპაზონის, ასევე სწრაფმოქმედების და მხედველობის ველის თვალსაზრისით.

სინათლის პოლარიზაცია

კლასიკური ფიზიკის მიხედვით სინათლე წარმოადგენს ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს, რომელთა რხევა ორთოგონალურია სინათლის გავრცელების მიმართულების მიმართ. თავის მხრივ, ელექტრული (E) და მაგნიტური (H) ვექტორები ირხევიან ერთმანეთის მიმართ ორთოგონალურ სიბრტყეებში და გააჩნიათ იდენტური ფაზები (ნახაზი 1).



ნახაზი 1. სინათლის, როგორც ელექტრო-მაგნიტური ტალღის სქემატური გამოხატულება.

ასეთი კლასიკური ტალღის სრულად აღწერისთვის ჩვენ გვჭირდება ვიცოდეთ შემდეგი სიდიდეები:

1. ტალღის ინტენსივობა;
2. სიხშირე;
3. გავრცელების მიმართულება;
4. რხევის ორიენტაცია რაიმე ათვლის სისტემის მიმართ.

სინათლის აღნიშნული ოთხი სიდიდის განსაზღვრას ემსახურება დაკვირვებითი ასტრონომიის შემდეგი დარგები:

1. ფოტომეტრია;
2. სპექტრომეტრია;
3. ასტრომეტრია;
4. პოლარიმეტრია.

სინათლის ტალღის პოლარიზაციის მათემატიკური აღწერისთვის xyz კოორდინატთა სისტემაში ელექტრულ ვექტორს ყოფენ ორ ურთიერთმართობულ x და y მდგენელებად. ასეთ შემთხვევაში ტალღა ვრცელდება z მიმართულებით, x მდგენელის რხევა ხდება xz სიბრტყეში, y მდგენელისა კი – yz სიბრტყეში.



ნახაზი 2. სინათლის ტალღის ელექტრული ვექტორის x და y მდგენელების გავრცელება z მიმართულებით.

x და y მდგენელები აღიწერება შემდეგი გამოსახულებებით:

$$E_x = E_{x0}e^{i(2\pi\nu t+\varphi_x)} \quad (1)$$

$$E_y = E_{y0}e^{i(2\pi\nu t+\varphi_y)}, \quad (2)$$

სადაც E_{xo} და E_{yo} შესაბამის მდგენელთა ამპლიტუდებია, ν – ტალღის სიხშირე, t – დრო, λ – ტალღის სიგრძე, φ_x და φ_y კი – x და y მდგენელთა ფაზები.

ამ გამოსახულებების ნამდვილ ნაწილებს z = 0 წერტილში შემდეგი სახე აქვთ:

$$E_x = E_{x0}\cos(2\pi\nu t + \varphi_x) \quad (3)$$

$$E_y = E_{y0}\cos(2\pi\nu t + \varphi_x) \quad (4)$$

(3) და (4) განტოლებების მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$\frac{E_x^2}{E_{x0}^2} + \frac{E_y^2}{E_{y0}^2} - \frac{2\,E_xE_y\cos\left(\varphi_y - \varphi_x\right)}{E_{x0}E_{y0}} = sin^2\left(\varphi_y - \varphi_x\right), \quad (5)$$

რომელიც წარმოადგენს ელიფსის ზოგად განტოლებას და ეწოდება პოლარიზაციის ელიფსი, რომლის ფორმას სრულად განსაზღვრავს ოთხი პარამეტრი: E_{x0}, E_{y0}, φ_x და φ_y. ტოლი ამპლიტუდების და ფაზათა სხვაობის $\varphi = \varphi_y - \varphi_x$ და ცალკეული მნიშვნელობების

შემთხვევაში პოლარიზაციის ელიფსი სხვადასხვა ფორმას იღებს და განსაზღვრავს ტალღის პოლარიზაციის სახეს: $\phi=0$ შემთხვევაში ტალღა წრფივად პოლარიზებულია, $\phi=\pi/2$ შემთხვევაში კი – წრიულად პოლარიზებული. ფაზათა სხვაობის სხვა მნიშვნელობებისათვის საქმე გვაქვს ელიფსურ პოლარიზაციასთან. არაწრფივი პოლარიზაციის შემთხვევაში ფაზათა სხვაობის ნიშანი განსაზღვრავს პოლარიზაციის მიმართულებას: $\pi > \phi > 0$ შემთხვევაში ტალღა მარჯვნივ, ხოლო $0 > \phi > -\pi$ შემთხვევაში კი მარცხნივ პოლარიზებულია.

ასტრონომიაში უფრო ხშირად გამოიყენება I, Q, U და V ე. წ. სტოქსის პარამეტრები, Ip – პოლარიზებული სინათლის ინტენსივობა, θ – პოლარიზაციის პოზიციური კუთხე, ϕ – ფაზური კუთხე. Q, U და V არის ინტენსივობის ვექტორის პოლარიზაციული კომპონენტები, ხოლო I – სინათლის ინტენსივობა. ამდენად, სტოქსის ვექტორი საშუალებას გვაძლევს გამოვსახოთ სრულიად არაპოლარიზებული სინათლე, რომლის შემთხვევაშიც Q = U = V = 0. სრულად პოლარიზებული სინათლის შემთხვევაში $I^2 = Q^2 + U^2 + V^2$. ნაწილობრივ პოლარიზებული სინათლის დასახასიათებლად გამოიყენება პოლარიზაციის ხარისხის სიდიდე, რომელიც ტოლია:

$$DOP = \frac{\sqrt{Q^2+U^2+V^2}}{I} \quad . \qquad (6)$$

სტოქსის პარამეტრების მეშვეობით ასევე შესაძლებელია განისაზღვროს პოლარიზაციის კუთხე:

$$\theta = \frac{1}{2} arctg\left(\frac{U}{Q}\right) \qquad (7)$$

და პოლარიზაციის ელიფსურობის განმსაზღვრელი სიდიდე:

$$\varepsilon = \frac{V}{1+\sqrt{Q^2+U^2}} \quad . \qquad (8)$$

პოლარიზაციული ოპტიკა – პოლარიზატორები

სინათლის პოლარიმეტრიული კვლევისას ძირითადად იყენებენ მარტივ ხელსაწყოებს – პოლარიზატორებს. პოლარიზატორი შედგება ოპტიკური ელემენტის, მაგალითად ე.წ. პოლაროიდისგან. პოლაროიდი წარმოადგენს თხელ ფირს ან მინის ფირფიტას, რომელიც სინათლეს მხოლოდ ერთ ორიენტირებულ სიბრტყეში ატარებს, ანუ ერთ პოლარიზაციულ კომპონენტს უცვლელს ტოვებს, ხოლო მის ორთოგონალურ კომპონენტს სრულად შთანთქავს. შესაბამისად, პოლაროიდის ბრუნვისას, მასზე ორთოგონალურად დაცემული ნაწილობრივ პოლარიზებული სინათლე პოლარიზატორის გამოსასვლელზე იძლევა სხვადასხვა ინტენსივობას. ამ ინტენსივობათა ანალიზით ახასიათებენ სინათლის წრფივ, წრიულ (ცირკულარულ) და ელიფსურ პოლარიზაციებს.

წრფივი პოლარიზატორების მოქმედების პრინციპი დამყარებულია ოთხ ოპტიკურ მოვლენაზე. ესენია: დიქროიზმი, ორმაგი სხივთტეხა, არეკვლა და გაბნევა.

ამ მოვლენებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან როლს დიქროიზმი ასრულებს. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ოპტიკური ელემენტი უცვლელად ატარებს ერთ პოლარიზაციულ კომპონენტს და შთანთქავს მის ორთოგონალურს. დიქროიდული პოლარიზატორები შედგებიან გარკვეული წესით ორიენტირებული მიკროკრისტალების ან მოლეკულებისაგან.

ორმაგი სხივთტეხის პოლარიზატორები შედგებიან ისლანდიური შპატის, კვარცის ან კალციტის ორი, ერთმანეთთან შეწებებული პრიზმისაგან. ასეთი კომბინირებული პრიზმა დაცემულ სინათლეს ორ პოლარიზებულ კომპონენტად ჰყოფს, რომელთაგან ერთს უცვლელად ატარებს, ხოლო მეორეს, მის ორთოგონალურს, შთანთქავს დამუქული წიბოთი.

წრიული პოლარიზატორების ანუ ფაზური ფირფიტების (retarders) დანიშნულებაა მოახდინოს დაცემული სინათლის ორთოგონალურ კომპონენტებს შორის სინათლის ტალღის ფაზის წანაცვლება (retardence).

თეორიულად, შესაძლებელია აიგოს ფაზური ფირფიტა, რომელიც მოახდენს ფაზის წანაცვლებას ნებისმიერი სიდიდით. თუმცა, პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება ფაზის წანაცვლების ორი შემთხვევა: $\pi/2$ და π. ასეთ მოწყობილობებს, შესაბამისად, ეწოდება მეოთხედტალღოვანი ფაზური ფირფიტა (quarter-wave retarder) და ნახევარტალღოვანი ფაზური ფირფიტა (half-wave retarder).

მეოთხედტალღოვანი ფაზური ფირფიტები ჩვეულებრივ გამოიყენება წრფივად პოლარიზებული სინათლის გარდაქმნისთვის წრიულად პოლარიზებულ სინათლედ ან პირიქით.

ნახევარტალღოვანი ფაზური ფირფიტები ჩვეულებრივ გამოიყენება წრფივად პოლარიზებული სინათლის პოლარიზაციის პოზიციური კუთხის შესაცვლელად.

პოლარიმეტრიული დაკვირვებები აბასთუმნის ობსერვატორიაში

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ციურ სხეულთა პოლარიმეტრიულ დაკვირვებებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ფაქტობრივად, ობსერვატორიის დაარსებიდან მალევე, 1936 წელს, მზის სრული დაბნელებისას (ს. კალინოვსკოე, მდ. ურალის აუზი), ობსერვატორიაში კონსტრუირებული პოლარიმეტრით, ჩვენმა ექსპედიციამ (კ. ზახარინის ჯგუფი) შეასრულა მზის გვირგვინის ფოტოგრაფირება პოლარიზაციულ სხივებში, სპექტრის ორ უბანში. შემდგომ, მზის დაბნელებისას 1941 (ყაზახეთი) და 1945 (კარელია-ფინეთი) წლებში, კორონის პოლარიმეტრიული დაკვირვებები წარმატებით ჩაატარა ობსერვატორიის მკვლევარმა მიხეილ ვაშაკიძემ.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ პროფ. მიხეილ ვაშაკიძის დამსახურება ობსერვატორიაში კვლევის პოლარიმეტრიული მეთოდის დანერგვაში. მისი შრომები განფენილ ობიექტთა და განსაკუთრებით კიბორჩხალას ნისლეულის პოლარიმეტრიულ შესწავლაში, თავისი დროისთვის პიონერული იყო. სწორედ ამ და სხვა დამსახურებების გამო 1970 წ. საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა მისი სახელი უწოდა მთვარის ჩვენთვის უხილავ მხარეს არსებულ ერთ-ერთ კრატერს (დიამეტრით, დაახლოებით 30 კმ.).

მომდევნო წლებში, მზის დაბნელებისას, ექსპედიციებში აქტიურად მონაწილეობდნენ ც. ხეცურიანი, გ. სალუქვაძე, რ. კილაძე, ე. თეთრუაშვილი, ვ. ყულიჯანიშვილი, მ. გიგოლაშვილი, ე. ხუციშვილი და სხვა ასტრონომები. კორონის პოლარიმეტრიული დაკვირვებები ობსერვატორიისთვის ერთგვარ ტრადიციად იქცა, რომელიც წარმატებით გააგრძელა ობსერვატორიის მკვლევარმა, ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორმა ვაჟა ყულიჯანიშვილმა. გარდა მზის დაბნელებისა, ვ. ყულიჯანიშვილი, ობსერვატორიის 53 სმ. დაბნელებაგარეშე კორონოგრაფზე, დღემდე წარმატებით ახორციელებს მზის აქტიური წარმონაქმნების პოლარიმეტრიულ კვლევებს.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აბასთუმნის ობსერვატორიაში, გარდა ასტროპოლარიმეტრიული დაკვირვებებისა, იქმნებოდა და ტექნიკურად უმჯობესდებოდა თავად პოლარიმეტრიული ინსტრუმენტები. ჯერ კიდევ 1961 წელს, გამოგონებისა და აღმოჩენის კომიტეტმა ჩვენს ნიჭიერ ინჟინერს ლევ ქსანფომალიტს გადასცა საავტორო მოწმობა „ავტომატური ელექტრონული პოლარიმეტრი“, ხოლო 1963 წელს – მოწმობა „ელექტრონული პოლარივიზორი“.

1970-80-იან წლებში, გამოცდილმა ოპტიკოსმა – ალექსანდრე მაიერმა და ელექტროინჟინერმა – ანატოლი კოროლმა, დაამზადეს იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი სიზუსტის, მრავალარხიანი ელექტროპოლარიმეტრი, რომელიც შემდგომ კიდევ არაერთხელ გააუმჯობესეს.

როცა აბასთუმნის ობსერვატორიაზე და ასტროპოლარიმეტრიაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია სიამაყით არ გავიხსენოთ მთვარის დაუღალავი მკვლევარი, პროფ. ვიქტორ ჯაფიაშვილი. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი აბასთუმანში მთვარისა და მზის სისტემის პლანეტების პოლარიმეტრიულ კვლევებს.

ვიქტორ ჯაფიაშვილმა, მთვარის პოლარიმეტრიული დაკვირვებების მრავალწლიან მასალაზე დაყრდნობით, პოლარიმეტრის კონსტრუქტორ, ელექტროინჟინერ ანატოლი კოროლთან ერთად, შეადგინა და ტიპოგრაფიულად გამოსცა მთვარის პოლარიმეტრიული ატლასი, რაშიც მათ მიენიჭათ ბრედიხინის სახელობის პრემია.

მისი მოსწავლე ასპირანტები იყვნენ შემდგომში წარჩინებული მეცნიერები:

ოთარ ბოლქვაძე – პლანეტა იუპიტერის პოლარიმეტრია;

ვალერი ოშჩეპკოვი – მჭიდრო ორმაგი სისტემების პოლარიზაციული გამოკვლევა;

ოთარ კვარაცხელია – მთვარის ზედაპირის უბნებისა და მთვარის გრუნტის ნიმუშების სპექტროპოლარიმეტრია;

ლორანდ სიგუა – სატურნისა და მისი რგოლების ელექტროპოლარიმეტრიული გამოკვლევა;

რევაზ ჭიღლაძე – იუპიტერის თანამგზავრების პოლარიმეტრია.

თუ გავითვალისწინებთ პროფ. ჯაფიაშვილის სხვა არაერთ მოსწავლესაც, შეიძლება ითქვას, რომ ობსერვატორიაში, გარკვეული აზრით, ჩამოყალიბდა პოლარიმეტრიის მეთოდით მკვლევართა მნიშვნელოვანი სკოლა.

ვ. ჯაფიაშვილის ორგანიზაციული ნიჭით არაერთი პროექტი განხორციელდა.

ვიქტორ ჯაფიაშვილის გარდაცვალების (2015 წ.) შემდეგ, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილებით, მისი სახელი დაერქვა მთვარეზე, კრიზისებისა და ნაყოფიერების ზღვებს შორის მდებარე ერთ-ერთ კრატერს.

ამგვარად, ახლა მთვარეზე ორი „ქართული“ კრატერია, ერთი დედამიწიდან უხილავ, ხოლო მეორე – ხილულ მხარეს.

არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ობსერვატორიის ყოფილი თანამშრომლის, შემდგომში საქართველოს კიბერნეტიკის ინსტიტუტის ოპტიკის განყოფილების ხელმძღვანელის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, შერმაზან ყაყიჩაშვილის მსოფლიო მნიშვნელობის წვლილი ჰოლოგრაფიული პოლარიზაციის განვითარების საქმეში. მისი მოსწავლეების, აწ ღვაწლმოსილი მეცნიერების – ბარბარა

კილოსანიძისა და გიორგი კაკაურიძის ძალისხმევით, დამზადდა ე. წ. ჰოლოგრაფიულ-პოლარიზაციული ელემენტი, ხოლო მოგვიანებით, აბასთუმნის ობსერვატორიის ასტრონომებთან – გიორგი ქურხულთან და თეიმურაზ კვერნაძესთან ერთად, შემუშავდა და წარმატებით გამოიცადა ასტრონომიული დაკვირვებებისათვის ახალი, ინოვაციურ პრინციპზე აგებული ხელსაწყო.

ინოვაციური, პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული სტოქსის გამოსახულებითი ასტროპოლარიმეტრი

ავტორების: ბ. კილოსანიძე, გ. კაკაურიძე (კიბერნეტიკის ინსტიტუტი) და თ. კვერნაძე, გ. ქურხული (ე. ხარაძის ობსერვატორია), მიერ 2017 წელს, შემუშავდა ინოვაციური, უნივერსალური პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული სტოქსის გამოსახულებითი ასტროპოლარიმეტრი.

ასტროპოლარიმეტრის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული ელემენტი, რომელიც, თავის მხრივ, სამი სხვადასხვა ტიპის პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული დიფრაქციული მესერის კომბინაციაა.

პოლარიზაციული ჰოლოგრაფიის მეთოდი, მსოფლიოში პირველად, შეიმუშავა ქართველმა ფიზიკოსმა, პროფესორმა შერმაზან ყაყიჩაშვილმა 1972 წელს. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია შეიქმნას უნიკალური პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული ოპტიკური ელემენტი, რომელიც საშუალებას იძლევა რეალურ დროში მოვახდინოთ მასზე დაცემული სინათლის პოლარიზაციის სრული ანალიზი სპექტრის ფართო დიაპაზონში – ხილულ და ინფრაწითელ უბანში. კერძოდ, ელემენტი მასზე დაცემულ სინათლის კონას შლის ურთიერთორთოგონალურ წრიულ და წრფივ მდგენელებად დიფრაქციული რიგების სახით. დიფრაქციული რიგების ინტენსივობათა გაზომვის გზით შესაძლებლია დაცემული სინათლის სტოქსის სრული ვექტორის განსაზღვრა. ნახ. 3 -ზე მოყვანილია პოლარიმეტრის ოპტიკური სქემა.



ნახაზი 3. ინოვაციური, პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული სტოქსის გამოსახულებითი პოლარიმეტრის პრინციპული სქემა.

აღნიშნული, პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული პოლარიმეტრით წარმოებული პირველი ასტრონომიული დაკვირვებები, რომლებიც სტანდარტ ვარსკვლავებზე, შერჩეულ ციურ სხეულებსა და მზის აქტიურ წარმონაქმნებზე – სპიკულებზე ჩატარდა, უკვე გამოქვეყნდა უცხოურ შესაბამის ჟურნალებში. გამოხმაურებებმა და სიმპოზიუმებზე გაკეთებული მოხსენებებით ასტრონომ-დამკვირვებელთა დაინტერესებამ იმედი ჩასახა – ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული ინოვაციური პოლარიმეტრის შემდგომი სრულყოფის შემთხვევაში, იგი თავისი კონსტრუქციული სიმარტივით, მცირე თვითღირებულებით და შესაძლებლობებით, საკმაო კონკურენციას გაუწევს გაცილებით რთულსა და ძვირადღირებულ ანალოგიურ აპარატურას.

შინაარსი

წინასიტყვაობა სამოცდამეერთე გამოცემისათვის ... 3
წლის დროების დასაწყისი ... 4
ზოგიერთი ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები ... 4
ტაბელ-კალენდარი 2021 წ. ... 5
ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები ... 6
ბერძნული ანბანი ... 7
როგორ ვისარგებლოთ კალენდრით ... 7

ცვალებადი ნაწილი

მზის ეფემერიდები, მზის ამოსვლა-ჩასვლისა და ზედა კულმინაციის მომენტები ... 22
მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები ... 46
მთვარის ფაზები ... 50
კაშკაშა პლანეტების ხილვადობა ... 51
კაშკაშა პლანეტების ეფემერიდები. მათი ამოსვლა-ჩასვლისა და ზედა კულმინაციის მომენტები ... 58
სამოქალაქო და ასტრონომიული ბინდი და დღის ხანგრძლივობა ... 68
მზის დაბნელებანი 2021 წელს ... 70
მთვარის დაბნელებანი 2021 წელს ... 71
შესანიშნავი მეტეორული ნაკადები ... 72
ვარსკვლავთა საშუალო მდებარეობანი ... 73
ცვალებადი ვარსკვლავები ... 77
მონაცემები გრძელპერიოდიან ცვალებად ვარსკვლავებზე დაკვირვებისათვის ... 77
მონაცემები ბნელებადი-ცვალებადი ვარსკვლავის პერსევსის β-ს დაკვირვებისთვის ... 78
ზოგიერთი თანავარსკვლავედის მდებარეობა ცაზე სხვადასხვა თვეში ... 81

მუდმივი ნაწილი

რეფრაქცია ... 83
რეფრაქციის შესწორება ტემპერატურასა და ბარომეტრულ წნევაზე ... 84
ცნობები რამდენიმე უკაშკაშესი ვარსკვლავის შესახებ ... 85
ცნობები რამდენიმე უახლოესი ვარსკვლავის შესახებ ... 86
ორჯერადი ვარსკვლავები კომპონენტებს შორის მკვეთრად განსხვავებული ფერებით ... 86
ორჯერადი ვარსკვლავები ... 87
ღია და სფერული გროვები ... 88
ბნელი, დიფუზური და პლანეტსახის ნისლეულები ... 89

გალაქტიკები 90
ცნობები პლანეტებზე 91
ცნობები პლანეტათა თანამგზავრებზე 92
ცნობები დედამიწაზე, მზეზე, მთვარეზე 96
ზოგიერთი მნიშვნელოვანი სიდიდე 98
ფიზიკური მუდმივები 98
სიგრძისა და მანძილის ერთეულები 99
მათემატიკური სიდიდეები 99
თანავარსკვლავედების სახელწოდებანი და აღნიშვნები 100
საშუალო დროის შუალედის ვარსკვლავიერ დროში
გადასაყვანი ცხრილი 102
ვარსკვლავიერი დროის შუალედის საშუალო დროში
გადასაყვანი ცხრილი 103
რკალის გრადუსებისა და მინუტების დროის საათებსა
და წუთებში გადასაყვანი ცხრილი 104

დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი

სამყაროს შეცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ)

1. მნიშვნელოვანი ნაბიჯი მზის სისტემის წარმოშობისა
და ევოლუციის შესწავლის გზაზე

2. ბნელი მატერია სამყაროში და გალაქტიკათა სპექტრში
უცნობი რენტგენული გამოსხივების ხაზის ინტერპრეტაციის
პრობლემა
შ. საბაშვილი.......... 105

ასტროპოლარიმეტრია და პოლარიმეტრიული კვლევები აბასთუმნის
ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში
თ. კვერნაძე, გ. ქურხული.......... 123